140
1966/2.

# პიონერი

4

1966



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინის დროშას ავიტანთ ცაში

ცისა და მიწის გაზაფხულია,
გულში მტრედივით შემოფრენილი.
დღეს დედამიწას ერთად უვლიან
აპრილის მზე და დიდი ლენინი.

სიბრძნის ზღვა არის ლენინის წიგნი,
მარად ცოცხალი, მარად მზიანი.
ლენინის შუქით, ლენინის სიბრძნით
ცაში ამაღლდა ადამიანი.

ჩვენ არ გვაშინებს მუქარა ღამის,
წინ მიგვიძღვიან დიდების დღენი.
ყვავილებს ვუვლით თუ ვტეხავთ ყამირს,
სულ მხარში გვიდგას ლენინი ბრძენი.

ლენინის დროშას მთვარეზეც გავშლით,
სიცოცხლის ბურჯად, მშვიდობის მცველად.
ლენინის დროშას ავიტანთ ცაში
და ამღერდება ვარსკვლავი ყველა.

გაზაფხულია, გაზაფხულია,
გულში მტრედივით შემოფრენილი.
დღეს ცას და მიწას ერთად უვლიან
აპრილის მზე და დიდი ლენინი.

აკაკი გეწაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



10056.

4 · აპრილი ·

ევგენი მარი

# წლის უკანასკნელი დღე



როსტოკინში, რომელიც წინათ მოსკოვის გარეუბნად ითვლებოდა და მოსკოვის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა, ჩვეულებად არც ძველი წლის გაცილება ჰქონდათ, არც ახლის შეხვედრა.

აქაური სამღებრო-საგამომყვანო ფაბრიკის მეპატრონე ფერმანი ცოლშვილიანებს სამუშაოზე არ ღებულობდა. როსტოკინში, მეფაბრიკესთან დაახლოებულ მოსამსახურეთა შვილების გარდა, ბავშვები საერთოდ არ იყვნენ.

მაშასადამე, არ იყო მხიარული საახალწლო ნაძვის ხეებიც.

ახალი წლის წინ მხოლოდ მეპატრონის სახლის ფანჯრებიდან ისმოდა მუსიკა. მეპატრონის ცოლი უკრავდა ძველ კლავესინზე, პარკეტზე კი მწყობრად მოძრაობდნენ მოცეკვავე წყვილები.

ფერმანი დრო და დრო აივნის კარებს გამოაღებდა და სტუმრებთან ერთად სუსხიან ჰაერზე გამოდიოდა, თანაც თვალს მოავლებდა ფაბრიკის ეზოს, ხომ ყველაფერი რიგზეაო. ეზოში იყო ყაზარმები, რომლებშიც მუშები ცხოვრობდნენ.

ზუსტად საღამოს ათ საათზე ფაბრიკის ჭიშკარი იკეტებოდა.

ასე იყო, როგორც სამუშაო ისე, ახალი წლის წინა დღეებში, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი დღეებისაგან.

მაგრამ როსტოკინის სამღებრო-საგამომყვანო ფაბრიკის მუშებს დაამახსოვრდათ 1917 წლის უკანასკნელი დღე.

სწორედ ახალწლამდე რამდენიმე დღით ადრე, ფაბრიკის მეპატრონემ განკარგულება გასცა დაეთხოვათ მუშები და დაიტოვა მხოლოდ დარაჯები.

მეფაბრიკემ არ სცნო ახალი ხელისუფლება.

მაშინ მუშებმა გადაწყვიტეს ფაბრიკას თვითონ დაპატრონებოდნენ.

მაგრამ არ იცოდნენ, როგორ გაეკეთებინათ ეს, რით დაეწყოთ.

მათ აირჩიეს დელეგატები და რჩევისათვის სმოლნში, ვლადიმერ ილიას ძესთან გაგზავნეს. ლენინს მნიშვნელოვანი თათბირი ჰქონდა სამხედროებთან, ძალზე დაიღალა, მაგრამ მაინც მიიღო როსტოკინელები.

მას მიაჩნდა, რომ კიდევ ერთი ფაბრიკის მუშაობის მოგვარება მნიშვნელოვანი ბრძოლის მოგებას ნიშნავდა.

ლენინი დიდხანს ესაუბრა მუშების წარგზავნილებს.

— გექნებათ თუ არა პირველ ხანებში ნედლეული? — მზრუნველობით ჰკითხა ლენინმა დელეგაციის ხელმძღვანელს ალექსი იგნატოვს.

ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა უთხრეს, რომ ფაბრიკას პირველ ხანებში ნედლეული ეყოფოდა.

— შეკვეთები თუ გექნებათ? ფაბრიკა ხომ სამღებრო-საგამომყვანოა!

იგნატოვმა უპასუხა:

— მუშებმა უკვე მოსკოვის ბევრი საფეიქრო ფაბრიკა ჩააყენეს მწყობრში. მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ უხეშ, შეუღებავ ქსოვილს ამზადებენ და ელოდებიან, როდის დაიწყებენ მუშაობას როსტოკინელები. ლოდინს ბოლო არ უჩანს... შეუღებავი ქსოვილი კი არ საღდება. არის დიდი შეკვეთა ბანდებსა და დოლბანდებზე...

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკვეთაა. — აღნიშნა ლენინმა, — ჰოსპიტლებში, მე ვიცი, არ ჰყოფნით ბანდი. ეს დაუშვებელია, ადამიანები, ამ საქმის მცოდნე ადამიანები თუ გყავთ?

იგნატოვმა მაშინვე მიუგო ვლადიმერ ილიას ძეს. რომ დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მღებავი-ოსტატია. მეორე—მოანგარიშე, რომელიც ფაბრიკაში აღრიცხვის საქმის მოგვარებას კისრულობს.

— ესეც კარგია. სახალხო მეურნეობაში უნდა აღვრიცხოთ ყოველი წვრილმანი. დიახ. ყოველი წვრილმანი!.. კი მაგრამ, დირექტორად ვის დანიშვნას აპირებთ? — იკითხა ლენინმა და, როგორც მაშინ იგნატოვს მოეჩვენა, გამომცდელად შეხედა მას.

— ჩვენ გადავწყვიტეთ იგნატოვის არჩევა, — საჩქაროდ უპასუხა დელეგაციის რომელიღაც წევრმა. —პირველი დღეებიდანვე მოთავეობს, ნაცადი ბოლშევიკია!..

— რა სპეციალობის ბრძანდებით, ამხანაგო იგნატოვ? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ.

ლენინი ამ დროს ჩაფიქრებული იყო და ბოლთას ცემდა კაბინეტში. უცებ. იგნატოვთან შეჩერდა და ყურადღებით შეხედა მას.

— საქმეც იმაშია, რომ დიდი სპეციალობა მე არ მაქვს. — ცეცხლფარეში ვარ, სხვა არაფერი შემისწავლია. — მორცხვად უპასუხა იგნატოვმა.

ლენინი გულისხმიერად დაიხარა მისკენ და, თითქოს საიდუმლო ჩურჩულით, მაგრამ ყველას გასაგონად, უთხრა:

— მე, იცით. მერწმუნეთ, არასოდეს არ ვყოფილვარ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ახლა კი, მგონი ამგვარი თანამდებობა მიჭირავს. აი, ეს ამხანაგი, — მან კაბინეტში შემოსულ ნიკოლოზ ილიას ძე პოდვოისკიზე მიუთითა.—არმიებს არასოდეს არ სარდლობდა. ხომ ასეა, ნიკოლოზ ილიას ძევ? ხომ ხედავთ, თვითონვე ადასტურებს. ახლა კი, მერწმუნეთ, ჩინებულად ართმევს თავს... იმოქმედეთ. თქვენ უკანასკნელი ცეცხლფარეში არა ხართ, რომელიც დირექტორი გახდება. მუშები დაგეხმარებიან. — ლენინმა იგნატოვის ამხანაგებს გადახედა, — ხოლო ფაბრიკის ნაციონალიზაციას, წესისამებრ, დეკრეტით გავაფორმებთ.

როსტოკინელები აღფრთოვანებული დაბრუნდნენ. და მოხდა ისე, რომ სწორედ ახალ, 1918 წლის წინა დღეს ალექსი იგნატოვი უკანასკნელად იდგა თავის ვახტზე; მან თავისი ხელით აანთო, მეპატრონის ბრძანებით ჩამქრალი ფაბრიკის საცეცხლური.

როსტოკინელთა მთელი მაშინდელი პატარა პარტიული უჯრედი ახალი წლის წინა ღამეს ფაბრიკის საქვაბესთან მოვიდა; თუ საჭირო იქნებოდა, იარაღით უნდა დაეცვათ ცეცხლი, რომელიც მეპატრონის სურვილის წინააღმდეგ აანთეს.

მეორე დღეს ცეცხლფარეშმა ალექსი იგნატოვმა, რომელიც როსტოკინის ფაბრიკის დირექტორად აირჩიეს, ყოფილი მეფაბრიკე გამოიძახა და წინადადება მისცა — სამსახური დაეწყო თავის ყოფილ მუშებთან. იგნატოვმა აღუთქვა ფერმანს, რომ ბინას დაუტოვებდნენ, დაუნიშნავდნენ ხელფასს, როგორც სპეციალისტს, ოღონდ კეთილსინდისიერად ეშრომა. პასუხად ფერმანმა გასაღებების ასხმულა მაშინვე განრისხებით დააგდო მაგიდაზე:

— მე თქვენ არ გემსახურებით, თქვენ კი საქმე არ გამოგივათ, ბატონო ცეცხლფარეშო. ეს ნიჩბის ტრიალი არ გეგონოთ. — მიახალა იგნატოვს, კარი მაგრად გაიჯახუნა და წავიდა.

— არა, გამოგვივა, — მიაძახა იგნატოვმა. — და ამას მე კი არ გეუბნები, ეს ლენინმა თქვა!..

ყოფილმა მეპატრონემ, ალბათ, ვეღარ გაიგონა ეს სიტყვები. იგი მთელი სიჩქარით ჩარბოდა კიბეზე.

იგნატოვმა სული მოითქვა და მაგიდას მიუჯდა. საჭირო იყო მუშაობის დაწყება...

სულ სამ თვეზე ცოტა მეტი ხანი გავიდა.

მალე, სახალხო კომისართა საბჭოს მოსკოვში გადასვლის შემდეგ, 1918 წლის მარტში როსტოკინის ფაბრიკის დირექტორის, იგნატოვის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა.

იგნატოვმა ყურმილი აიღო. რეკავდნენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოდან. ამხანაგ ლენინის დავალებით.

ვლადიმერ ილიას ძეს უნდოდა გაეგო, როგორ მიდიოდა როსტოკინელთა საქმე.

— გადაეცით ვლადიმერ ილიას ძეს, რომ ყველაფერი რიგზეა. ამუშავებულია ყველა დაზგა.

— ვინ არის ტელეფონთან?

— ალექსი იგნატოვი. ფაბრიკის დირექტორი... დიახ. სწორედ ისა ვარ...

პირველმა მუშა-დირექტორმა მრავალი წელი იმუშავა როსტოკინის სამღებრო-საგამომყვანო ფაბრიკაში.

სწორედ მან გვიამბო როსტოკინელთა შეხვედრაზე ვლადიმერ ილიას ძესთან...

როსტოკინის ფაბრიკის ძველი კორპუსის კედელზე მიკრულია მარმარილოს დაფა, რომელზეც ოქროს ასოებით სწერია:

„დეკრეტი როსტოკინის ფაბრიკის ნაციონალიზაციის შესახებ".

დეკრეტის ქვევით არის ხელმოწერა:

„სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)".

ხელმოწერა ისეთი სიზუსტით არის გადატანილი, რომ გეგონებათ, თვითონ ვლადიმერ ილიას ძემ მოაწერა ქვაზე ხელი.

როცა დეკრეტის სტრიქონებს კითხულობ, ხოლო შემდეგ უკვე მთელს კავშირში სახელგანთქმულ საწარმოს ათვალიერებ, კიდევ ერთხელ რწმუნდები იმაში, რომ ვლადიმერ ილიას ძე მართალი იყო.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: გამოუვიდათ საქმე როსტოკინელებს, ნამდვილად გამოუვიდათ!

თარგმნეს
დ. შენგელიამ და
ბ. მეტრეველმა.

# მჯერა, რომ ასე იქნება

ლამარა გვაზავა-სანაძე

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ბიძაჩემს ხიტუს ეძახიან, ისე — ხარიტონი ჰქვია. მე რომ მკითხონ, ხიტუ თავის სოფელში ყველაზე ჭკვიანი და განათლებული კაცია. ასე ფიქრობენ მისი მოწაფეები და მეზობლებიც. სკოლაში იგი მათემატიკას ასწავლის, თუმცა ისტორიაც მათემატიკაზე ნაკლებად როდი იცის. მას გასხვლა-დამყნობაც ეხერხება. იგავ-არაკებს ხო ნუღა იკითხავ!

...იმ დღეს ძია ხიტუ ბაღში მუშაობდა — კვლებს შორის ჩათესილ სიმინდს თოხნიდა, ახლადნაყარ ნარგავებს ძირებს უფხვიერებდა. „იონას გორაკზე" თავი აეშვა ბურჩხა ბალახსა და დილხამს. იონა ბიძაჩემის ყურის მეზობელია და მის მომიჯნავე მხარეს „იონას გორაკს" ეძახის. ჩემი აზრით, იქ სულაც არაა გორაკი, პირიქით — ის მხარე ჩავარდნილიცაა, მაგრამ ჩემი აზრი ბიძაჩემს სულ არ აინტერესებს. არც მე ვეკამათები.

— სარეველა თვალის ეკალია, — თქვა ხიტუმ და იონას გორაკზე კვლები პირწმინდად გაასუფთავა, ღობის კიდესთან მირგულ ბუჩქებს კი ვერ მიუმარჯვა თოხი, მაშინ ჩაიჩოქა და ხელით დაუწყო ბალახებს ამოფესვა.

— რას იზამ, ძმობილო, დაფნას მოვლა უყვარს, — თქვა და ჯიჯილაყის ლორთქო ღერო დაითრია.

— მერე, სადაა დაფნა? — ვიკითხე მე.

— როგორ თუ სადაა, აჰა, ეს სულ დაფნა არაა? — ხელით მოხაზა სივრცე.

— ესაა დაფნა? — გაოცებისაგან თვალები დავკუსე.

— რა იყო, ბიჭო, არ მოგეწონა? — გამეპასუხა ხიტუ.

— სხვანაირი დაფნა თუ არსებობს? — ვიკითხე და აყელყელავებულ ღეროზე წნიკვა ყვავილს წავეპოტინე.

— სხავნაირი არ გამიგია, — მხრები აიჩეჩა მან.

— ჩემპიონებს ასეთი დაფნისაგან უწნავენ გვირგვინებს?

— ჰო; გვირგვინებს ასეთი დაფნისაგან წნავენ, — მომიგო მან და წელში გასწორდა. მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არც მიფიქრია. ვიცოდი, ხიტუ ტყუილის კაცი არ იყო, მაგრამ დაფნის გვირგვინისადმი მოწიწება კი ნამდვილად დამეკარგა. მისი მომწვანო-მოყვითალო ყვავილები რა მოსატანი იყო ჩაისა და ხავერდის ვარდებთან. „ამბობენ, ქვეყნად ათასზე მეტი სახის ყვავილიაო, და ამათში ყველაზე უფერული და ულაზათო დაფნის ყვავილი ყოფილა. რაღა ეს წნიკვა ყვავილიანი შტოები აირჩიეს სახელოვან ადამიანთა თავმოსართავად",— გავიფიქრე მე და ჩემი ეჭვი ხიტუს გავუზიარე.

— ბუნებაში ყველა მცენარეს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული, მათ შორის კი დაფნა პირველობს, — თქვა მან.

— რატომ პირველობს? — კვლავ უნდოდ გავხედე ბუჩქებს.

— იმიტომ, რომ ის მარად მწვანე და კეთილშობილია.

— ჩაის ბუჩქიც ხომ მარად მწვანეა? — სიტყვა დავახვედრე.

— ჩაის ბუჩქი? აჰ! ის გვირგვინად არ ივარგებდა, — მითხრა ხიტუმ, მაგრამ სიტყვა თითქოს გაებზარა.

— რატომ არ ივარგებდა? — არ ვასვენებდი კითხვებით.

— რატომ? რატომ და, მოდი პასუხი სახვალიოდ გადავდოთ, — თქვა მან. უცებ აჩქარდა, აფაცურდა და სადღაც წავიდა.

„დაფნის ესოდენი დაფასების მიზეზი, ეტყობა, არც ბიძაჩემმა იცის", — გავიფიქრე მე.

...ჩემი ეჭვი გამართლდა. მეორე დილით, ხიტუს სამუშაო მაგიდაზე ახალი წიგნები დავინახე. „დაფნის გვირგვინი ლაურეატს ნიშნავს", „დაფნის მოშენება", „მითი დაფნაზე". იქვე იდო ბიძაჩემის მიერ სახელდახელოდ შედგენილი კონსპექტიც. რვეული სწრაფად გადავფურცლე. ხიტუს არ უყვარს, როცა მის ოთახში დაუკითხავად დაფათურობენ, ამიტომ მერიდება, თვალები კი სტრიქონებისკენ გამირბის:

„დაფნაზე ზღაპარი უძველესი დროის ბერძნებს შეუქმნიათ, — იწყებს იგი წერას, — დაფნა ღმერთების ქალიშვილის სახელია. ლამაზ ქალს ორი სატრფო ჰყოლია: აპოლონი და მეფისწული ლევკიპოსი. ქალის სამოსში გადაცმული მეფისწული უჩუმრად დაყვებოდა თურმე დაფნას. ერთხელ ტანთგახდილსაც გაუბედნია სატრფოსთან ერთად ბანაობა. ჭაბუკის ცნობა არ იყო ძნელი. დაფნამ სითამამე არ აპატია და ლევკიპოსი ნიმფებს მოაკვლევინა. ახლა აპოლონი გაწყრა ბოროტ ქალზე და შურისსაძიებლად გასწია. დაფნას დასჯა არ

ასცდებოდა, რომ დედამისი არ დახმარებოდა. ყოვლისშემძლე გეამ ქალიშვილი ბუჩქად აქცია და მდევართა თვალთაგან დაიფარა. ბერძნებმა ბუჩქი მზის ღმერთს მიართვეს. აპოლონმა სურნელოვან შტოებისაგან გვირგვინი დააწნევინა და თავზე დაიდგა. ასეთივე გვირგვინები სიბრძნისა და პოეზიის რჩეულთაც უბოძა. გვირგვინოსნებს ხალხმა ლაურეატები უწოდა. მას შემდეგ ტრიუმფატორებიც დაფნის გვირგვინებით ირთვებოდნენ. დაფნის გვირგვინებით დღესაც ამკობენ რჩეულებს"...

აქ შეეწყვიტა წერა. რვეულის ყდაზე კი წვრილად იყო მიწერილი: ,,დაფნა, — კოლხეთიდან ოქროს ვერძის გამტაცებლის — იაზონის ბიძაშვილი".

რვეული დავხურე. ეზოში ჩავედი. დილა იყო გრილი, ნათელი. ხიტუ ბოსტანში ფუსფუსებდა. მეც იქითკენ წავედი. კუტი კარი შევაღე და ბიძას მივესალმე.

— ეს შეჩვენებული ისე აფუტკნა ზღვაურმა, რომ ერთმანეთს ვერ ვაშორებ, — შემომჩივლა მან და აჩოყებული ხახვის ღეროები ნამჯით ჯოხებზე მიამაგრა. მე სულაც არ მაინტერესებდა ბუთხუზთავება ხახვები. ასეთები ჩვენს ბოსტანშიც ბევრი მენახა. ჩემს თავში ახლა დაფნა ტრიალებდა. მზერა ბუჩქებისკენ გამირბოდა და თითქოს უკვე კიდეც მომწონდა ეს მცენარე.

— ძია ხიტუ, დაფნა როგორ უნდა მოვაშენოთ?

მან ირიბად გადმომხედა.

— თესლით, კალმით. აჰ, იქნებ გინდა მედაფნე გახდე?!

— არა, ისე ვიკითხე.

გუშინ დაფნა არ არსებობდა ჩემთვის, არც მისი წარმოშობა მაინტერესებდა, არც გაზრდა-მოშენება. ეს იყო გუშინ საღამოს. საღამოთი გონება, საერთოდ, დაღლილია, ოცნებაც განთიადის ვარსკვლავივით სადღაც მიიპარება. ახლა კი დილაა, ხასხასა და ნათელი, ამიტომ თავში ფიქრებიც ნათელია. მინდა დაფნის მოვლა-მოშენება ვიცოდე. ძია ხიტუსავით მეც გავუფხვიერებ ძირებს და კვლებს შორის ჩათესილ სიმინდსაც გავთოხნი.

წინათ აგრონომობაზე არ მიოცნებია, ან რატომ უნდა მეოცნებნა? აგრონომი მიწაზე მოსიარულე ადამიანია, ბოსტანსა და ბაღჩაზე შეყვარებული, ვაზსა და სამამულე რქაზე დაფეთებული. აგრონომს ხახვის ლილისფერი თავებიც მოსწონს და თუთის ფართო ფოთლებიც. თუთა, რა თქმა უნდა, საჭმელად გემრიელია, მაგრამ აგრონომს განა თუთის გემრიული მარცვლები ან მისი გრილი ჩრდილი აინტერესებს? არა, აგრონომი თუთის ფოთლებში აბრეშუმს ხედავს, — ეს უბრალო ფოთოლი კი არა, ფარჩა და ატლასიაო, — ამბობს და ხალხს სჯერა მისი სიტყვებისა. მაგრამ მე მაინც არასოდეს მიოცნებია აგრონომობაზე. როგორც ბევრი ჩემი ტოლი, მეც კოსმონავტობაზე ვოცნებობდი. კოსმონავტობაზე მე ახლაც ვოცნებობ, მაგრამ ამ დილით აგრონომობაც მომწონს. აგრონომმა იცის, საიდან მოვიდა ჩვენში ფეიხოა, ევკალიპტი და რამი, აგრონომმა ბუნების ენა იცის და მცენარეთა სატკივარიც. ,,აგრონომი ბუნების შვილიცაა და მისი მბრძანებელიც" — ამბობს ხიტუ. და მე ეს მჯერა.

გადავწყვიტე, ეს არდადეგები რომ დამთავრდება — დაფნის ნერგები ჩემს სოფელში ჩავიტანო. ჩემი სოფელი ალაზნის პირასაა. ოჰ, როგორ მინდა იქ იხაროს დაფნამ!.. მაშინ სხვებიც მოაშენებენ. ვის არ მოეწონება დაფნის ბუჩქები!

ხიტუს ჩემგან მოსვენება არა აქვს. ვეკითხები ყველაფერს, რაც კი დაფნას შეეხება. ჩემი ბედი, ბიძაჩემი სიტყვა-პასუხში არ არის ძუნწი.

— როგორი ნიადაგი უყვარს დაფნას? როდის მწიფდება? რა აზიანებს? სად ხარობს? მოსავლის აღებაც მაინტერესებს. თურმე ნუ იტყვით, დაფნისაგან სურნელოვანი ნაყენი მზადდება, ცხიმოვანი ზეთი და... წამლებიც. ვისწავლე, აგრეთვე, სათესლე ხეების შერჩევა, გადარგვა, ნაყოფის აღება და აჭრა.

•

სოფელში დაფნის ნერგები ჩამოვიტანე, თესლიც, კალმებიც... ახალი და საინტერესო ამბებიც ბევრი ვიცოდი და ამხანაგები გაფაციცებით მიგდებდნენ ყურს, მაგრამ უმთავრესად, დაფნაზე ვლაპარაკობდი. პირველად ყურადღებით მისმენდნენ, ბოლოს მოსწყინდათ და ისიც კი თქვეს — დაფნის



ბუჩქს ტყის მოცხარი სჯობიათ, იქ ნაყოფს მაინც დაინახავ, აქ კი უყურე მარტო მწვანე ფოთოლსო.

...მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა. მე უკვე მეათეკლასელი ვარ და მაქვს საკუთარი ,,დაფნის პლანტაცია'', სკოლის ნაკვეთზეც გავახარე ხუთი ძირი... დირექტორმა ,,მი...ურინელი გია'' შემარქვა...

...ამ დილით ცისკარს დავასწარი. სკოლაში წასვლამდე დაფნარი უნდა გავთოხნო. გასათოხნი თუმცა არაფერია, მაგრამ საკუთარ ,,საცდელზე'' ბოტანიკის მასწავლებელს ველოდები და მინდა აქაურობა სანიმუშოდ მქონდეს. ყველაფერში წესრიგი და მოთავეობა მიყვარს. მიყვარს, როცა ხელმძღვანელი მაქებს და მეზობლები საქმეს მიწონებენ. ამხანაგობაც მიყვარს, დახმარებაც, თუმცა ამხანაგების გულის მთლად მოგება მაინც ვერ შევძელი... მაგრამ, არაუშავს, მე მიზანი მაქვს და მის გზას ვადგავარ....

— შენს გზას, ჩემო გია, ბედნიერი ვარსკვლავი დაჰყურებს, — მეტყვის ხოლმე ბაბუა. იგი უკბილოა და სიტყვების ნახევარი პირშივე ეკარგება.

— მერე, ვარსკვლავს რა შეუძლია? — ვეკითხები მე.

— ის ვარსკვლავი შენი ბედისაა და ოქროს ჭიშკართან მიგიყვანს, იმ ჭიშკრიდან იწყება სიბრძნისა და სიკეთის დიდი ქვეყანა.

— უჰ, რა კარგი იქნება იმ ქვეყანაში ცხოვრება? — სიტყვას ჩავურთავ მე. და თვალწინ უზარმაზარი ჭიშკარი წარმომიდგება: ლაპლაპა და ჩუქურთმიანი, ოქროს წკნელებით დაგრეხილ-აწირეხებული, ხვეულებში ყურძნის მტევნებჩასხმული.

— იქ, შესვლა ძალიან ძნელია, — ბაბუა ჩიბუხიან ხელს მაღლა სწევს, თანხმობის ნიშნად მეც თავს ვუქნევ, — ძნელია, მაგრამ თუ შეხვედი, ბრძენი და კეთილი კაცი გახდები.

— ალბათ... მდიდარიც, — დავუმატე მე.

— სიმდიდრე ეშმაკისაა, — განაწყენდა ბაბუა და ჩიბუხი ხელისგულზე დაირეკა.

— ისე, კაცმა რომ თქვას, სიმდიდრე საჭირო კია, — თითქოს მობოდიშებით ვთქვი.

— ჭკუით ღარიბ კაცს ფული ვერ გაამდიდრებს, ბრძენი კი უფულოდაც მდიდარია, — მითხრა ბაბუამ.

ბაბუაჩემის სიბრძნეს მაინცდამაინც ვერ მივხვდი, ოქროს ჭიშკარი კი გულში ჩამრჩა. ეს მომავლისთვის, მაგრამ ახლა დაფნა მაქვს გასათოხნი, მეც გამოცდილი კაცივით მიჭირავს თოხი. მთელი თვე სულისშემხუთავმა ხვატმა ცა გამოახუნა, ხეხილს ფოთოლი შეახრუკა. როგორც იქნა, გუშინ ქვენამ დაუბერა და ზღვიდან ღრუბლები ამორეკა. წვიმამ სიგრილე მოიტანა, გორაკებს სიმწვანე და ცას სილურჯე დაუბრუნდა. დღეს მზემ პირჩამობანილ მთებიდან ჯერ გაუბედავად ამოიჭიტინა, შემდეგ ამაყად გადახედა არე-მარეს, ნაწვიმარზე ბაღ-ვენახებს მეტისმეტად დააცხუნა და ოხშივარი აადი[illegible].

— ბუზები მწარედ იკბინებიან, ალბათ კიდევ გაწვიმდება, — თქვა ბაბუამ.

— შენს პირს შაქარი, ნეტავ კოკისპირულს დაუშვებდეს, იქნებ გაძღეს გულგამომშრალი მიწა, — თქვა დედამ.

გვალვებმა ჩემს დაფნასაც გამოუხუნა ფოთლები. წყალს ყოველ საღამოს ვუსხამდით, თუმცა ხელადებით ჩატანილი წყალი რა ბედენა იყო. ერთი ღამის წვიმამ უცებ გამოაცოცხლა ნარგავები, ფერიც დაუბრუნა და სიმწვანეც.

ბოსტანში ორმოცი ძირი დაფნა დავრგე, ორმოცივე გავახარე და თვალისჩინივით ვუფრთხილდები, ჩრდილმა არ დამიჩაგროს-მეთქი და, იმათ სიახლოვეს არაფერს არ ვაჭაჭანებ, ბლისა და ჭერმის ხეები სხვაგან გადავრგე...



— ბიჭო, ვის გაუგონია უნაყოფო ხეების გამო ნაყოფიანების გადაშენება, — მისაყვედურა ბაბუამ. დაფნის ნაყოფისა მან რა იცის! დაფნას ნაყოფი და სიკეთე რომ არ ჰქონოდა, ძველ დროში განა ზღვებსა და ოკეანეებს გადასცურავდნენ სანელებლებისათვის! იმ სანელებლებში, თურმე, უმთავრესი დაფნა ყოფილა. ეს ძია ხიტუმ მითხრა. ბაბუაჩემმა ძალიან იცის ახლა — დაფნა, მიხაკი და დარიჩინი, ანდა აპოლონისათვის მირთმეული ბუჩქი და ჩემპიონებისათვის დაწნული გვირგვინები! ამიტომ, უბრალოდ ვეუბნები: ბაბუა, დაფნა მთლიანად ნაყოფია-მეთქი. იგი ალმაცერად მიღიმის. დედაჩემი კი ჩემს მხარესაა. დედას თავისი ძმისა სჯერა: ძია ხიტუ ტყუილუბრალოდ არც დროს დაჰკარგავს და არც მიწის ნაჭერს გააცდენს.

ჩვენს სოფელში ჩემი ,,პლანტაცია'' დაფნის მოშენების პირველი ცდაა. დაფნას, თურმე, სიცივისა ეშინია, მაგრამ თორმეტ გრადუსამდე ყინვას კი უძლებს. ჰოდა, ამდენს თუ უძლებს, ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნის დაქცევა სიცივე არც ჩვენს სოფელში იცის. ეგ ორი წელიწადია, ჩემს დაფნარს თავი არ ასტკივებია. ეს უხარიათ ბოტანიკის მასწავლებელს და კოლმეურნეობის ბრიგადირს. კარის მეზობლებსაც უხარიათ...

სკოლის საცდელ ნაკვეთზე ხუთი ძირი დაფნა დავრგე. სკოლის დირექტორმა თქვა: — გიას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გავგზავნიო.

ზოგი ამხანაგი დამცინის. მე ვჯავრობ, დაბეზღებით მაინც არ ვაბეზღებ მასწავლებელთან. ქომაგად ჩვენივე კლასელი ნანო მყავს. დედამისი პირველკლასელებს ასწავლის, თანაც ყვავილების მოვლა უყვარს, —ბაღ-ბოსტანი სულ ყვავილებით აქვს ავსილი. ამიტომ სოფელში ყვავილების მასწავლებელს ეძახიან. ყვავილების მოვლა და იმათი სახელები ნანომაც კარგად იცის. მან იცის, რომ ლამაზი სალვია წარმოშობით ბრაზილიიდანაა, რომ ალოი წამლად ხუთი წლის ძასაკისა გამოდგება, რომ აგავა სიკვდილის წინ ყვავილდება...

ნანო სელექციონერობაზე ოცნებობს. მას უნდა ლამაზი და უცხო ყვავილი გამოიყვანოს, ისეთი ყვავილი, ყვავილთა დედოფალს რომ დაჩრდილავს. ნანოს დაფნაც ძალიან აინტერესებს. და მე მიხარია მასთან საუბარი, მაგრამ შურიანი ამხანაგები ჩვენს მეგობრობაზე გესლიანად მასხრობენ: „გია უდრის ნანოსო", ცარცით აწერენ მესრებზე, ჭიშკარსა და სკოლის კედლებზე.

სკოლისაკენ მიმავალი გზა ჩვენს ბაღჩას ჩაუყვება. მოსწავლეები უკვე მიდიან სკოლისაკენ, ჩემი წასვლის დროცაა. თოხი ღობეს მივაყუდე.

— ეე, ჭკუის კოლოფო, არ მოდიხარ? — გადმომძახა თანაკლასელმა თეიმურაზმა და კენჭი მესროლა.

— შენ არ გცოდნია, გია ჭკუის კი არა, ოცნების კოლოფია, — შეუსწორა ციცრის კვერცხივით ცხვირჭორფლიანმა ზურიკომ. — ნორჩი მიჩურინელია, — დასძინა ომარმა. ჩვენი ბიჭებიდან ომარი ყველაზე ენამწარე და გულღრჯუა, არც ცოდნით უსკდება თავი, მაგრამ სხვის დასაცინად ენა მუდამ გალესილი აქვს.

ამხანაგების ხუმრობა წავიყრუე — დედაჩემისა მერიდებოდა. იგი იქვე, ღობის ძირში, ნარგავებს ძირს უსუფთავებდა. დედას იმათი მასხრობა, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია და გაბრაზებული წელში გასწორდა:

— თქვენი ხნის ბიჭები ოჯახს უვლიან, თქვენ კი უქმად დახეტიალობთ ქუჩა-ქუჩა, — მიაძახა მათ დედამ.

— სახეტიალოდ სად გვცალია, დეიდა ვარა, სკოლაში მივდივართ, — თქვა თეიმურაზმა...

— გიას მიხედეთ, გიას, — ალისკბილი დაკიდეთ კისერზე, თვალი არ ეცეს, — გაიცინა ომარმა და ჩანთა ზურგზე მოიგდო.

ამ ბოლო ხუმრობამ მოთმინებიდან გამომიყვანა. კეჟერა მხალს სიბრაზით თავი წავაწყვიტე და ალაგეს გადავევლე. გაბრაზებულს გული ყელში მომებჯინა. წამში ომართან გავჩნდი. ისიც ყვინჩილასავით აიქოჩრა.

— რად დამცინე? — წინ დავუდექი.

— დასაცინი ხარ და დაგცინე, — მომიგო მკვახედ.

— ასე ხომ? — დავკრაჭუნე კბილები და დოინჯშემოყრილ ომარს თავგამეტებით დავეძგერე. ეს მისთვის მოულოდნელი იყო და ძირს დაენარცხა, ჩანთაც ტალახში ჩაუვარდა.

— აბა, ახლაც დამცინე, შე ლაყე-მეთქი, — დავკივლე და დაუზოგავად დავაყარე მუშტები. ომარიც მირტყამს, ოღონდ მოულოდნელი თავდასხმით ნირწამხდარია და მუშტებს ჰაერში იქნევს. უცებ წავბორძიკდი და წავიქეცი. ომა-

რმა წიხლი ჩამარტყა ფერდში. წამოვხტი და ისევ თავი ვაძგერე. ახლა ომარი გაიშოტა, შემეძლო წაქცეულისთვის წიხლიც დამერტყა და ორივე ფეხითაც ზედ შევმდგარიყავი, მაგრამ... წაქცეულისათვის წიხლის ჩარტყმა რა ვაჟკაცობაა!..

იმ დღეს სკოლაში მე და ომარი მგლებივით ვუყურებდით ერთმანეთს. ვფიქრობდი, დირექტორს თუ გადავურჩი, დამრიგებელი მაინც გამომიძახებს-მეთქი, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. არ მეგონა, დაუსჯელად თუ გადავრჩებოდი...

ჩვენ მეორე და მესამე დღესაც ვებუტებოდით ერთმანეთს. ვიცოდი — ომარს ენა მუცელში ჰქონდა ჩაგდებული და ვერასოდეს ველარ გამოიწევდა ჩემსკენ საჩხუბრად, მისი თვალები მაინც ბოროტად მიყურებდნენ, — ვგრძნობდი, რაღაც ცუდი მელოდა. თუმცა, მე მაინც არ მეშინოდა მისი.

,,აბა, გაბედოს! ისე მივბეგვო, თავბედი ვაწყევლინო-მეთქი‘‘, — ვფიქრობდი.

ამ ჩხუბიდან ერთმა კვირამ განვლო და, ჩემთან ნანო მოვარდა:

— გია, საცდელ ნაკვეთზე შენი დაფნა გამხმარა, — მითხრა ნაღვლიანად.

მე ნაკვეთისაკენ გავიქეცი.

— ზამთარი გადაიტანა და გაზაფხულზე რას უნდა გაეხმო? — მომდევს და მომძახის ნანო. მე მიწას ფეხს არ ვაკარებ, ისე გავრბივარ.

— ყველაფერი ლაღობს, რაღა დაფნა გახმა? — ისევ მომძახის ნანო.

კვლებში მართლაც ყველაფერი ბიბინებდა ლობიო და პამიდორი, კიტრი და საზამთრო, ხასხასებდა კოხტად შეკრეჭილი ნარგავები, თეთრად შეფეთქილი ხეხილი და აფსიორებული სიმინდი. ყველაფერი ხარობდა, ჰყვაოდა, ბიბინებდა, მხოლოდ ჩემი ხუთი ძირი დაფნა იყო გამხმარ-ჩაყვითლებული. სიბრალულით გული დამეწიწკნა. მარტო რომ ვმდგარიყავი, ალბათ ვიტირებდი კიდეც... ვიდექი უხმოდ, გაქვავებულივით. დაფნის შეყვითლებულ ფოთლებს ნიავი არხევდა. გულში რაღაცა ეკლებივით მჩხვლეტდა.





— ფესვიჭამია თუ გაუჩნდა, — თქვა ნანომ.

მე აცახცახებული ხელით ერთი ძირი ამოვთხარე და ნერგის დამწვარ-მოკრეხილ ფესვებს დავაშტერდი.

— ნამდვილად ფესვიჭამიაა,— ტიტინებდა ნანო.

— არა, — ვთქვი მე.

— იქნებ გვალვებმა გაახმო.

— არა.

მე ვდუმდი, გულს კი ბაგა-ბუგი გაჰქონდა და უხმოდ იძახდა: ,,მდუღარეა ჩასხმული‘‘, ,,მდუღარეა ჩასხმული‘‘... მე ვიცოდი ამ ვერაგობის ჩამდენი ვინც იყო!.

— არაუშავს, გია, შენ ხომ ბევრი ნერგი გაქვს? ისინი გაიხარებენ, — მამშვიდებდა ნანო. მე ენაგადაყლაპულივით ვდუმდი. ან რა უნდა მეთქვა? ახლა იმის ფიქრში ვიყავი, როგორ დამესაჯა ამის ჩამდენი.

ნიავმა დაუბერა. აშრიალდნენ ჩქოლა ხეები, აღვივდა მწვანილი, აცახცახდნენ დაფნის დახრუკული ფოთლებიც, რომლებსაც მე თვალი მოვარიდე და სკოლისკენ წავედი. ნანოც წამომყვა. ამ დროს სკოლაში რომ არავინ იქნებოდა — ვიცოდი, მაგრამ გულმა მაინც იქითკენ გამიწია.

— მედაფნე გია, — მომესმა ხმა ვენახებიდან. მივხვდი, თეიმურაზი იყო, მის წრიპინა ხმას ათას ხმაში გამოვარჩევდი.

— სად იყავი, — მომიახლოვდა თეიმურაზი.

— გიას დაფნა გახმა, — უთხრა ნანომ.

— გახმა?!

— ხუთივე ძირი გამხმარა, ფესვები გაფშეკილი აქვს, ფოთლები — შეხრუკული.

— მართლა? — გაოცებული მიყურებს თეიმურაზი.

— მართლა, — ვთქვი და ყელში ბოლმა მომებჯინა.

— მე ვიცი, რატომაც გახმა! — თქვა თეიმურაზმა და სახეში შემომაჩერდა.

— მეც ვიცი, — ვთქვი მე.

— მერე? — მხრები აჰყარა თეიმურაზმა.

— რატომ გახმა? — ახლა ნანო შემოგვაჩერდა სახეში.

— ბაბაჭუას მის ფოთლებში ქსელი გაუბამს და იმიტომ, — ამბობს თეიმურაზი. მე სიმწრით მეცინება, ნანო ბრაზობს და წასვლას აპირებს.

— ეს დაფნა ხომ საერთო იყო! — რაღა ნარგავებზე იძია შური მაგ ყეყეჩმა? — ვთქვი და თეიმურაზს შევხედე.

— წავიდეთ, გაბრტყელებულ ცომივით რომ მოვაქცევ, ნა-

ხოს მერე, — ამოიღრინა თეიმურაზმა და მტვრიან გზაზე გაალაჯა. მე და ნანოც გავყევით.

ჭიშკართან გავჩერდით.

— ომარ! — დაიძახა თეიმურაზმა.

— ომარ! — ვიძახი მე.

— ომარ! — იძახის ნანო. ვიღაცამ კარის ღრიჭოში გამოიხედა და გაქრა.

— შე ჯაბანო, ვირთაგვავ, სად მიიძურწები? — მიაძახა თეიმურაზმა. ხმა არავინ გაგვცა და ჩვენ უკან დავბრუნდით. შევთანხმდით, სიტყვა არავისთვის არ გვეთქვა!

●

მეორე დღეს სკოლაში მე, ნანო და თეიმურაზი შეთქმულებივით ვჩურჩულებდით. ხან სკოლის დირექტორთან ვაპირებდით მისვლას, ხან — კლასის ხელმძღვანელთან, თან თვალებით ომარს დავეძებდით. იგი გვიან მოვიდა, ზარის დარეკვისას. მტყუან კაცს თვალებში ეტყობა დანაშაული. ომარი სათოფეზე არ მეკარება და მე ეს ლაჩარი თითქოს მეცოდება კიდეც.

— ომარს ნუ დავაბრალებთ, არა ღირს, — ვუთხარი თეიმურაზს.

— როგორ თუ არა ღირს, აბა ვის უნდა დააბრალო, — თეიმურაზს გრძელი ნიკაპი შეუტოკდა.

— ვის და, არავის! გახმა უბრალოდ და ესაა.

— შენ ხომ არ გადაირიე? ბაბუამისივით მოყვება ახლა ზღაპრებს: „ერთ ლოყაზე რომ შემოგკრავენ, მეორე მიუშვირეო“ — გაჯავრდა თეიმურაზი.



— ვინ დაამტკიცებს, რომ მაინცდამაინც ომარმა დაასხა მდუღარე?— ვეკითხები მე.

— ვინ და, შენ!

— მე არ დამინახავს.

— მართლაცდა, ვინ დაინახა, ასე დაბრალება როგორ შეიძლება?! — აწრიალდა ნანოც.

— ბიჭების საქმეში გოგოები ცხვირს არ ჰყოფენ, — თეიმურაზმა ახლა ნინოს შეუტია.

— ბიჭების... თუ არა, ერთი შენც! — ნანოს ახლა ორივე წარბი შუბლზე აუცოცდა.

— წადი და შენს ამხანაგებთან „ყვაოყვაობანა“ ითამაშე, — თეიმურზმა ხელი წაჰკრა. ნანო გრძელ წამწამებს აფახულებს.

— ოჰ, შე უსაქციელო, უხეშო! — ბუტბუტით გვცილდება ნანო. მე არ მინდა მისი წყენინება, მაგრამ აქ გამოქომაგება არაა ლამაზი და ხმას არ ვიღებ.

თეიმურაზმა უკვე გასცა „შეთქმულება“. მთელმა ჯგუფმა გაიგო, ხომ ხუთი ძირი დაფნა გახმა, რომ ვიღაც იუდამ ნარგავს მდუღარე დაასხა, რომ დამნაშავე ცნობილია და იგი სადაცაა სამსჯავროს წინაშე წარსდგება.

ამხანაგები ხან მე მიყურებენ, ხან ომარს. ომარი ხაფანგში გაბმული თაგვივით აცეცებს თვალებს...

— დამნაშავეს თვალებში ეტყობა, — იძახის თეიმურაზი და ბიჭები იცინიან.

— ვინ არის ის იუდა? — მეკითხებიან ცნობისმოყვარე გოგონები.

— არ ვიცი, — ვამბობ მე.

— იცის, იცის! — იძახის თეიმურაზი და თვალს უპაჭუნებს ომარს. ომარი მუჭის ოდენად იქცა.



შემოდის კლასის დამრიგებელი.

— გია, რა მოუვიდა დაფნას? — მეკითხება მასწავლებელი.

— გახმა!

— როგორ, ასე უცებ?!

— გახმა და... — სიტყვა ვერ დავამთავრე, ომარს ქვეშქვეშად გავხედე. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ომარი შიშით გამოთაყვანებული მიმზერს.

— გახმა კი არა — გაახმეს, — გაისმა ჩემს უკან თეიმურაზის წვრილი ხმა. ვგრძნობ—მისი ჭროღა თვალები ზურგს მიბურღავენ.

— გია, შენ რაღაცას მალავ, — მითხრა დამრიგებელმა.

— არაფერს არ ვმალავ, პატივცემულო მასწავლებელო! გუშინ მივედი და გამხმარი დამხვდა.

— იქნებ ვინმემ გაახმო.

— რა ვიცი...

ომარისაკენ გავაპარე მზერა, — მას ნაკვერცხლებივით უბზინავს თვალები.

— შენ იცი და არ ამბობ, — ახლა ბოღმით წამოიძახა თეიმურაზმა.

— მე არ ვიცი, არ მინახავს და არ ვიცი, — კვლავ ჩემს სიტყვაზე ვდგავარ. კლასში ჩურჩულია.

— პატივცემულო მასწავლებელო! –– ვთქვი და უცებ გავწითლდი. კლასი გაიტრუნა. მასწავლებელი თვალს არ მაშორებს.

— ჩემს ბოსტანში ორმოცი ძირი დაფნაა, —ამოვილუღლუღე მე.

— მერე? — დამრიგებელმა კვლავ შეიკრა შუბლი. ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ყველა მე მომჩერებოდა. ომარისკენ გახედვა მინდოდა, მაგრამ...

— აი, ის ორმოცი ძირი დაფნა ჩვენი სკოლისა იყოს, — ვთქვი და თვითონვე ავღელდი,—სკოლის ნაკვეთზე მე თვითონ გადმოვრგავ, ოღონდ შემოდგომაზე, ახლა არ ივარგებს...

— გადმორგავ და, ისევ გაახმობენ, — აყაყანდნენ მოსწავლეები.

— არ გაახმობენ, — ვამბობ და მჯერა, რომ ასე იქნება.

ომარს პირდაპირ სახეში შევხედე. იგი თვალს ვერ მისწორებს, მაგრამ ვგრძნობ მას რცხვენია, ძალიან რცხვენია და.. ნანობს კიდეც!

# პარიზის კომუნის დროშა

ვ. ი. ლენინის ცენტრალური უზეუმის დამთვალიერებლებს ჯუძლიათ იხილონ ბევრი ახალი ექსპონატი, რომლებიც მხოლოდ ახლახან გამოფინეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პარიზის კომუნის დროშა, რომელიც უკანასკნელ ბარიკადებზე ფრიალებდა 1871 წელს. მისი ისტორია ძალზე საინტერესოა.

კომუნარმა (მისი სახელი უცნობი დარჩა), რომელმაც დროშა გადაარჩინა, იგი კომუნის ყოფილ წევრს — ედუარდ ვალიანს გადასცა. როცა საფრანგეთში ტერორი დაიწყო. ე. ვალიანი ლონდონში გადასახლდა და მხოლოდ ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მან კომუნარების დროშა პარიზის მეოცე ოლქს, იმ დროისათვის ყველაზე რევოლუციურ ოლქს, გადასცა. 1921 წლამდე იგი 80 წლის ფურკადთან ინახებოდა, რომელიც ამ დროშით თვითონ იბრძოდა ბარიკადებზე. მეოცე ოლქის კომუნისტების ინიციატივით, 1924 წელს, 24 მაისს, პარიზში გაიმართა ასიათასიანი მიტინგი, რომელმაც გადაწყვიტა: პარიზის კომუნის დროშა გადაეცა ქვეყნისათვის, „სადაც კომუნარების საქმემ ნამდვილი გამგრძელებლები იპოვნა“. მიტინგში ფრანგ მუშებთან ერთად მონაწილეობდნენ იტალიელი, ჩეხი და სხვა ქვეყნების მუშები. რამდენიმე ადგილას ტყვიით გახვრეტილი, უბრალო, წითელი ნაჭრის დროშა უკანასკნელად მიიტანეს კომუნარების კედელთან.

1924 წლის 6 ივლისს კომუნარების დროშა საზეიმოდ გადაეცათ მოსკოველ კომუნისტებს.



ეჟენი დელაკრუა.

თავისუფლება ბარიკადებზე. 1930 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვეფხისტყაოსანი" და მისი ავტორი



800

მე-12 საუკუნე ყველაზე სახელოვანი ეპოქაა ძველი საქართველოს ისტორიაში. ქართული სახელმწიფოს გონიერმა მეთაურმა, ბრწყინვალე მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა შესძლო ჩვენი ქვეყნის ერთ ძლიერ სახელმწიფოდ შეკავშირება. დავითის დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს. ძლიერების მწვერვალს საქართველომ თამარის ეპოქაში მიაღწია. ამიტომ არის, რომ ხალხმა მე-12 საუკუნეს „ოქროს ხანა" შეარქვა. მაშინ მცირე აზიაში მხოლოდ ორი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო არსებობდა: ძველი რომის მემკვიდრე ბიზანტიის სახელმწიფო და ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ამ დროს ველური ტომებით გარშემორტყმული ბიზანტია ძალზე დასუსტებული იყო და ხშირ შემთხვევაში თვითონ ითხოვდა დახმარებას. ძლიერი ქართული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები ძალზე შორს იყურებოდნენ და მხოლოდ ბრძოლასა და დაპყრობით ომებზე არ ეჭირათ თვალი. სამხედრო ძლიერების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მეთაურები არაჩვეულებრივ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა ეროვნების მიმართაც. შუა საუკუნეებში ეს იშვიათი შემთხვევა იყო. მაგალითად. საქართველოს დედაქალაქ თბილისში ქართველებთან ერთად თავისუფლად ცხოვრობდნენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, ქრისტიანული ეკლესიების გვერდით თბილისში იყო მაჰმადიანური სამლოცველოები და ა. შ. ხალისით მოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში სტუმრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, გაცხოველებული იყო ვაჭრობა და კულტურული ურთიერთობები. ასეთი კავშირების მეოხებით საქართველო ადვილად ითვისებდა ახალსა და მოწინავეს, რაც კი მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა.

ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინება გამოიწვია. დაწინაურდა ხელოვნების თითქმის ყველა დარგი. მაგალითად, არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები, ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, მეტწილად ამ ხანებში შეიქმნა. საკმარისია მათი უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ წარმოიდგინოთ მაშინდელი მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები. აღორძინდა ფრესკული მხატვრობა. შეიქმნა ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, რომ ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოები ველარ აკავებს თავისუფალი აზრის მძლავრ შემოტევას.

სრულიად ახალ სიმაღლეებს დაეუფლა ქართული მწერლობა, ფილოსოფია და მეცნიერება. ქართული ფილოსოფიის. მწერლობისა და პოეზიის წარმომადგენლები სვამდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სამაგალითო იყო მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი.

სამწუხაროდ. ამ ეპოქის მონაპოვართაგან ბევრი რამ იავარჰყო შემდეგი დროის ჟამთა სიავემ, მაგრამ გადარჩენილი ძეგლებიც საკმაოდ ნათელჰყოფენ ამ აზრის სისწორეს. ჩვენამდე მოაღწია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი ათონელების. არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თხზულებებმა. ამ დროს დაიწერა შავთელისა და ჩახრუხაძის შესანიშნავი სახოტბო ოდები, რომლებშიც შექებულია ძლიერი ქართული სახელმწიფო და მათი მეთაურები. ბრძოლაში შეუდრეკელი მოყმე-რაინდის ფანტასტიკური საგმირო საქმეები აღწერა „ამირან-დარეჯანიანის" ავტორმა მოსე ხონელმა. ქართველი მკითხველი გაეცნო ანტიკურ მწერლობას. აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებს. სარგის თმოგველმა ბრწყინვალე ქართულით

თარგმნა სპარსული პოემა „ვისრამიანი". სწორედ ამ ხანებში დაიწერა შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი, რომელმაც დააგვირგვინა ჩვენი მწერლობის ბრწყინვალე ეპოქა.

მსოფლიოში იშვიათია წიგნი, რომელსაც თავისი ხალხის ისეთი სიყვარული ჰრგებოდეს, როგორც ვეფხისტყაოსანს. ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველი პოეზიის მამამთავრად აღიარა და უკვდავი შარავანდედით შემოსა მისი სახელი.

მიუხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, ჩვენ შედარებით ცოტა რამ ვიცით ვეფხისტყაოსნის ავტორის ცხოვრებაზე. რუსთაველმა ამ შემთხვევაშიც გაიზიარა სხვა ხალხების გენიოსთა ბედი. ახლაც გრძელდება საბერძნეთში საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე დავა „ილიადასა" და „ოდისეის" ავტორზე. ასევე ლეგენდებითა და გადმოცემებით მოაღწია ჩვენ დრომდე გენიალური ფირდოუსის, სპარსული ნაციონალური ეპოსის „შაჰ-ნამეს" ავტორის სახელმა. ასეთი მაგალითები მრავალზე მრავალია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და რუსთაველი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის.

ამის მიზეზი პირველ რიგში თვით ჩვენი ისტორიული ცხოვრების უკუღმართობაში უნდა ვეძიოთ. საუკუნეთა მანძილზე მტრებით გარშემორტყმული საქართველო უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა. ცეცხლმა და მახვილმა გაანადგურა, უჩინოდ აქცია ძველი დროიდან მომდინარე ძვირფასი ძეგლები. განსაკუთრებული სიყვარული რომ არა, ალბათ ვეფხისტყაოსანსაც იგივე ბედი ელოდა, როგორც მისი დროის სხვა თხზულებებს.

ვეფხისტყაოსნის დაწერის დროიდან ჩვენამდე თუმცა მოაღწია რამდენიმე მატიანემ, მაგრამ მათში ჩვენ ვერ ვპოულობთ რუსთაველზე, როგორც პოეტზე, რაიმე ცნობას. მემატიანეები უფრო მეფეთა ცხოვრებით და სახელმწიფოს ოფიციალური ამბებით იყვნენ დაინტერესებულნი.

რუსთაველის სახელის მიჩქმალვაში უეჭველად გარკვეული როლი ითამაშა ეკლესიის მოღვაწეთა რეაქციულმა ფრთამ. რეაქციონერები ვერ ეგუებოდნენ ვეფხისტყაოსანში გადმოცემულ თავისუფალ აზრებს და, კერძოდ, იმას, რომ პოემაში არცერთხელ არ იყო ნახსენები რელიგიის მიერ დაკანონებული ცნებები. ეკლესია ხელს უშლიდა ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, კრძალავდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა გავრცელებას. მაგალითად, არის ცნობა, რომ წყალში გადაჰყარეს პოემის პირველი გამოცემის თითქმის მთელი ტირაჟი.

მაგრამ ყველა ამ განსაცდელს გადაურჩა ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, რადგან უძლეველი იყო სიყვარულის ძალა ხალხისა, რომელსაც რუსთაველის პოემა მიაჩნდა ჭირისა და ლხინის უპირველეს მეგობრად, სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ.



შოთა რუსთაველის პორტრეტი. „ვეფხისტყაოსნის" ძველი ხელნაწერიდან.

●

შოთა რუსთაველი სახელოვანი ქართველი მეფის თამარის დროის მოღვაწეა. პირველ რიგში ეს ჩანს თვით ვეფხისტყაოსანში. პოემის შესავალში რამდენიმე ადგილას ავტორი თამარზე, როგორც თანამედროვეზე ისე საუბრობს. ამასთან ავტორი გადაკვრით მიგვანიშნებს, რომ პოემაში თუმცა აღწერილია შორეული ქვეყნების ამბები, მაინც აქ საქართველო იგულისხმება. ვეფხისტყაოსნის პირველ თავებშივე, მაგალითად, აღწერილია ისეთი ამბები, რომლებიც დამახასიათებელია მე-12 საუკუნის საქართველოსათვის. შუა საუკუნეების მსოფლიოში უჩვეულო ფაქტი იყო ქალის გამეფება. განსაკუთრებით აღ-

მოსავლეთში, სადაც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ ქალს ყოველგვარი პრივილეგიები წაართვა. საქართველოში ამ საკითხს ძველთაგანვე სხვაგვარად უყურებდნენ და ქალის გამეფებაში არაფერს უჩვეულოს არ ჰხედავდნენ. თამარის გამეფებაც ამ შეხედულების დადასტურება იყო. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“—ამბობს რუსთაველი და ზუსტად ისევე აღწერს თინათინის გამეფების ამბებს, როგორც ეს ჩვენში თამარის მაგალითზე მოხდა. თამარის მამის, გიორგი III მსგავსად, არაბთა მეფეს როსტევანს არ ჰყავდა ვაჟი და თავისი ქალი თინათინი დასვა სამეფო ტახტზე.

ვეფხისტყაოსნიდანვე არის შესაძლებელი მისი დაწერის თარიღების დაზუსტებაც. თამართან ერთად აქ შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი, რომელიც გარდაიცვალა 1207 წელს. რადგან ამ ეპოქის მეორე თხზულება „თამარიანი“ დაიწერა 1205 წლისათვის და იგი ჯერ კიდევ არ იცნობს ვეფხისტყაოსნის გმირებს. რუსთველოლოგები ფიქრობენ, რომ ვეფხისტყაოსანი მისმა ავტორმა დაამთავრა სწორედ 1205-1207 წლებში.

საიდან ვიცით, რომ პოემის ავტორია შოთა რუსთაველი? პირველ რიგში აქაც ვეფხისტყაოსანი უნდა მოვიშველიოთ. შესავალშივე რამდენჯერმე არის აღნიშნული, რომ მეფე თამარის სადიდებლად ვეფხისტყაოსანი გალექსა რუსთაველმა (ძველი ფორმაა რუსთველი და არა რუსთაველი, როგორც ეს შემდეგში გავრცელდა ჩვენში). პოემის ავტორად რუსთაველია დასახელებული პოემის გაგრძელებათა იმ ნაწილებში, რომლებიც შეიქმნა ვეფხისტყაოსნის დაწერიდან არც თუ ძალზე დაშორებულ ხანაში. გვარი (თუ ზედწოდება) რუსთაველი წარმომდგარი უნდა იყოს რომელიმე ციხე-სიმაგრის ან დასახლებული პუნქტის რუსთავის სახელწოდებიდან. შუა საუკუნეებში ასე იქმნებოდა ახალი ფეოდალური გვარები. როგორც, მაგალითად, თმოგველი — ციხე თმოგვის პატრონობიდან, ჯაყელი — ციხე ჯაყიდან, სურამელი, ფანასკერტელი. თორელი და ა. შ.

დღეს არ არის ზუსტად გარკვეული თუ რომელი რუსთავის მკვიდრი იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი, რადგან იმ დროს საქართველოში რამდენიმე ასეთი პუნქტი არსებობდა (მაგალითად, თბილისთან ახლო მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი, დღეს ინდუსტრიალური ქალაქი და მესხეთის რუსთავი, ასპინძის მახლობლად). ამ საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზები, მაგრამ მათ ჩვენ შემდეგ შევეხებით.

ვეფხისტყაოსნის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს. რომ მისი ავტორი სამეფო კართან დაახლოებული, რომელიღაც დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი უნდა იყოს. იგი არაჩვეულებრივი სიზუსტითა და ცოდნით აღწერს სამეფო კარის ცხოვრებას, აქ გაბატონებულ წესებს და ზნე-ჩვეულებებს. ეს მოსაზრება დაადასტურა შორეულ პალესტინაში არსებულ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოპოვებულმა მასალებმა. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ქართველები, ისევე როგორც სხვა ცივილიზებული ერები. თავის საგანმანათლებლო ცენტრებს — ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ თავის სამშობლოს ფარგლებს გარეთაც, რაც სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის შესანიშნავი საშუალება იყო. ერთ-ერთი ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი იყო ჯვარის მონასტერი. რომელიც ქართველებმა ააგეს ქრისტიანობის წმინდა ქალაქ იერუსალიმში. ჩვენი მეფეები. სახელოვანი მოღვაწეები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ასეთ საგანმანათლებლო ცენტრებს. მაგალითად, ცნობილია. რომ თამარ მეფე ყოველწლიურად დიდძალ შესაწირავს აგზავნიდა მათ შესანახავად.

ირკვევა, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის გამშვენიერება-განახლების საქმეში მონაწილეობა მიუღია ვეფხისტყაოსნის ავტორსაც. მან, თავისი საფასით, მოახატვინა ეკლესიის გუმბათი. როგორც ჩანს, ამ ღვაწლის გამო იგი შეუტანიათ მონასტრის მატიანეში და სხვა მოღვაწეებთან ერთად მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე დაუხატავთ მისი პორტრეტი. თუ ვეფხისტყაოსნიდან ჩვენ უკვე ვიცით პოეტის გვარი—რუსთაველი, აქ რუსთველობასთან ერთად დასახელებულია მისი სახელიც — შოთა, აქედანვე ვიგებთ, რომ შოთას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ვეზირის მაღალი თანამდებობა — მეჭურჭლეთუხუცესობა, რაც დღევანდელი გაგებით უდრის ფინანსთა მინისტრის თანამდებობას. ამ დროს თამარის კარზე სულ ოთხი ვეზირის თანამდებობა არსებობდა (მწიგნობართუხუცესი, ამირ-სპასალარი. მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი) და გასაგებია, თუ რამდენად იყო დაწინაურებული შოთა საქართველოს სამეფო კარზე.

ვეფხისტყაოსნის ავტორის აღზრდაზე ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები. მაგრამ პოემაში გამოვლენილი ღრმა ცოდნა თავისთავად არკვევს მისი განათლების ხასიათს. როგორც ჩანს, იგი შესანიშნავად ფლობდა აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული), იცნობდა ამ ენებზე არსებულ უმდიდრეს პოეზიას, იცოდა ბერძნული და ამ გზით გაცნობილი იყო ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიას. შემდეგში ამ ცოდნის გაფართოებას ხელს უწყობდა თამარის კარზე ყოფნაც, რადგან იმ ხანებში საქართველო მთელს ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. რომ საქართველოში რამდენიმე რუსთავი არსებობს. რომელი რუსთავიდან იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი?

ერთ-ერთი პირველი რუსთველოლოგი თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ფიქრობდა, რომ შოთამ რუსთველობა მიიღო თბილისთან ახლოს მდებარე ციხე-ქალაქის პატრონობის გამო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი ამის დამადასტურებელი საბუთები. თამარის დროს რუსთავს სხვა გვარის მფლობელები ჰყოლია. მაგალითად, 1190-იან წლებში რუსთავი მიუბოძებიათ საქართველოს ამირ-სპასალარ ზაქარია მხარგრძელისათვის. თეიმურაზზე ადრეული მწერლების ცნობით კი შოთა მესხეთიდან ყოფილა და მისი გვარი რუსთაველიც იქაური რუსთავიდან მომდინარეობს. იმ გაგრძელებებში, რომელიც დაურთავთ ვეფხისტყაოსანზე, შოთა მესხეთის მკვიდრად იგულისხმება. მე-17 საუკუნის პოეტი არჩილიც შოთაზე ამასვე აღნიშნავს. თვით სახელი შოთაც ძალზე გავრცელებულია საქართველოს ამ კუთხეში. თუ გავიხსენებთ, რომ შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა მიუღია თამარის კარზე, ესეც მხარს უჭერს ასეთ შეხედულე-

ბას. თამარის დროს და შემდეგაც მეტწილად მესხ დიდებულებს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მესხეთი ამ ხანებში ძალზე დაწინაურებული მხარე ჩანს და თამარის დროის ბევრი სახელოვანი მოღვაწე სწორედ მესხეთიდან არის გამოსული. დასასრულ, ამასვე უჭერს მხარს ხალხის დიდებული ტრადიცია — ყველა თქმულება ერთხმად აღიარებს, რომ შოთა მესხეთიდან ყოფილა და შემდეგ დაწინაურებულა თამარის კარზე.

ახლა ორიოდე სიტყვით რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ვეფხისტყაოსნის ავტორი დაბადებულა დაახლოებით 1162-1166 წლებში. რადგან იგი თამარის უფროსი თანამედროვე ჩანს (თამარის დაბადებაც ასევე დაახლოებითაა ცნობილი 1168-1172 წ. წ.). იგი წარმოშობით მესხეთიდან ყოფილა. სწავლა-აღზრდა მას აქვე—საქართველოში მიუღია (ზოგი გადმოცემით, იგი ერთ დროს სწავლობდა კახეთში, იყალთოს აკადემიაში). ხოლო შემდეგ თითქოს იგი საბერძნეთში სრულყოფს თავის ცოდნას (მართლაც, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა საბერძნეთში). განათლებული და სარაინდო საქმეებში განსწავლული შოთა დაწინაურებულა თამარის კარზე. აქვე დაუწერია მას თამარის ქება და სხვა თხზულებები, ხოლო 1205-1207 წლისათვის დაუსრულებია ვეფხისტყაოსანი. თამარის კარზე იგი მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში და, როგორც ჩანს, მონაწილეობდა იმ ბრძოლებშიც, რომლებიც თამარმა გადაიხადა საქართველოს მტრების წინააღმდეგ (ასევე ახასიათებენ პოეტს შემდეგი საუკუნის მწერლებიც, მაგალითად, არჩილი და სხვ.). მოხუცებული პოეტი თამარის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით მე-13 საუკუნის 20-იან წლებში გამგზავრებულა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ზოგი გადმოცემით, იგი იქვე გარდაცვლილა.

რუსთაველსა და მის პოემაზე შეიქმნა მრავალზე მრავალი თქმულება. ხალხის ფანტაზიამ შეავსო ისტორიულ ცნობათა სიმცირე და შარავანდედით შემოსა მგოსანთა-მგოსნის პიროვნება.

**სარგის ცაიშვილი.**




**ავტოტიპია** (ბერძ.) — თვითამობეჭდვა. ფოტომექანიკური წესით საბეჭდ ფორმათა დამზადება. უმთავრესად იყენებენ ისეთი ილუსტრაციული მასალების დასაბეჭდად, რომლებშიაც გამოყენებულია ხოლმე (შავი და თეთრი ტონების გარდა) გარდამავალი ნახევარტონები. ავტოტიპია გამოიგონეს XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. იგი ემყარება ადამიანის მხედველობის იმ თავისებურებას, რაც გამოსახულების წერტილთა მეშვეობით „ხატვას" წარმოადგენს. ბეჭდვის ეს წესი გამოიყენება ტონალურ, სამ ფერსა და ოთხ ფერში ბეჭდვისას.

**აკადემიზმი ხელოვნებაში** — ტერმინია, გამოიყენება ხელოვნების ისტორიასა და ხელოვნებათმცოდნეობაში, იმ მხატვრული სისტემების მიმართ, რაც შემუშავდა ძველ სამხატვრო აკადემიებში, ძველისადმი მიბაძვით.

აკადემიზმი ხელოვნებაში პირველად ჩამოყალიბდა იტალიაში, XVI საუკუნეში, საიდანაც გავრცელდა სხვა ქვეყნებში. თავდაპირველად მან დადებითი როლიც კი შეასრულა სამხატვრო განათლებისა და პროფესიონალურ ჩვევათა შესწავლა-გაღრმავებაში. მაგრამ შემდეგ ამ მიმართულების მხატვრებმა სინამდვილის ასახვა უღირს საქმედ მიიჩნიეს.

აკადემიზმი დაიწყო და განვითარდა ბოლონიის აკადემიაში (ძმები კარაჩები, გვიდო რენი, დომენიკინო). აკადემიზმი ევროპაში აღიარებული იყო იტალიური ხელოვნების მიმბაძველთაგან, — ჰოლანდიაში — გოლციუსის, გერმანიაში — კორნელიუსის, საფრანგეთში — ენგრის, რუსეთში — ბრუნის, სემირადსკისა და სხვათა მიერ.

რუსეთში, XIX ს. სამოციან წლებში, აკადემიზმი საბოლოოდ შეარყია „მოძრავ გამოფენათა ამხანაგობის გამოფენებმა".

**აკროპოლი** — ზედაქალაქი. ძველი ბერძნული ქალაქის ამაღლებული და გამაგრებული ნაწილი. იგი იყო თავშესაფარიც და თავდაცვითი ნაგებობაც. ცნობილია საბერძნეთში — მიკენის, ათენის, არგოსის, კორინთის, საქართველოში — ბაგინეთის, და სხვა აკროპოლები.

აკროპოლთა არქეოლოგიური შესწავლა ავლენს მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლებს, იძლევა შესანიშნავ მასალას ეპოქათა დახასიათებისათვის.

**ათენის აკროპოლი** — საბერძნეთში, ათენში, შემონახული ძველი ბერძნული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლი. იგი აგებულია ჩ. წ. აღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში; სხვადასხვა დროს რამდენჯერმე იყო აღდგენილი. მისი მთავარი ნაგებობა — პართენონი — აგებული იყო ქალწულ ათინას პატივსაცემად. იქვე იდგა საქვეყნოდ ცნობილი ათინას ქანდაკება, შექმნილი ცნობილი ბერძენი მოქანდაკის — ფიდიასის მიერ. მას უწოდებდნენ ათინა-პრომახოსს. მასალად გამოყენებული იყო ოქრო და სპილოს ძვალი. პართენონი პროპილეებით იყო გარშემორტყმული.



ჩ. ანდღულაძე,
შ. კვასხვაძე.

# [illegible]



ახლაც, როგორც ყოველ დღე, რაზმის ხელმძღვანელმა გულნაზი გაგნიძემ სახლამდე მიაცილა ანჟელა არუთინოვა და თამაზ გიგილაშვილი.

## გაცნობა გაკვეთილზე

თბილი სექტემბრის შუადღე იდგა. III³ კლასს ბოლო გაკვეთილი სკოლის ეზოში უტარდებოდა. სკოლა ახალი იყო, შემოუღობავ-შემოუჩრდილავი. ამ ახალგაშენებული უბნის ახლომახლო ეზოებიდან ხელისგულივით მოჩანდა მოშიშვლებული მოედანი, სადაც გულიკო მასწავლებელი თავის გოგო-ბიჭებს ხან განმკლავს უჩვენებდა, ხან ზემკლავს, ხან კიდევ აქეთ-იქით ზნექს.

ამ დროს, სად იყო და სად არა, გულნაზი გაგნიძეც გამოჩნდა. მასწავლებელმა იგი ყმაწვილებს ასე წარუდგინა: იცნობდეთ, თქვენი ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი იქნებაო.

გოგონა მოვარჯიშეთა ბოლო მწკრივს შეერია. ლამაზად გამოუვიდა ვარჯიში; მერე თამაშობანი გააჩაღეს. მას, როგორც ჩანდა, ესეც ემარჯვებოდა, პატარებთან ლაღად გრძნობდა თავს.

გაკვეთილის შემდეგ გუნდად აედევნენ ბავშვები. უცბად დამეგობრდნენ. უმრავლესობა მოსკოვის პროსპექტზე ცხოვრობდა და გულნაზიმ ისინი ადვილად ჩამოარიგა სახლებში.

გაკვეთილზე ოქტომბრელთა ხელმძღვანელის მისვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ახალგაზრდა, დაკვირვებულმა პედაგოგმა გულიკო კოხტაშვილმა შემდგომაც არაერთხელ დაასწრო იგი სიმღერის, ხატვის, ხელგარჯილობის გაკვეთილებს; დარწმუნებული იყო, ამით უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდებოდა ხელმძღვანელსა და მის ოქტომბრელებს შორის. მართლაც, გულნაზი მონდომებით ეხმარებოდა უმცროსებს ძერწვაში, თოჯინების კაბების კერვაში, თამაშობებისა და სიმღერების შესწავლაში. ზარის შემდეგაც იგი ერთხანს ბავშვებთან რჩებოდა, და თავისთავად, ძალადაუტანებლად გრძელდებოდა რომელიმე ახალი სიმღერის გამეორება: ,,ლენინს —ძიას საყვარელს‘‘, ,,ტყეში ვიყავ სოკოზე‘‘, ,,მოდი, ერთად ვიმღეროთ‘‘...

## შეკითხვების კვალდაკვალ

ერთხელ, ლამაზად შემინულ ყუთში ხელმარჯვეთა რჩეულ ნამუშევრებს აწყობდნენ, რომ შემდეგ, ოქტომბრელთა კლასების ტრადიციისამებრ, დერეფანში გამოეფინათ. ბავშვები ფუსფუსებდნენ, ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით აღსავსენი ათასგვარ შეკითხვას იძლეოდნენ. ერთმა იმის გაგებაც ისურვა, თუ როდის გახდებოდნენ პიონერები.

— არც ისე მალე, —მიუგო გულნაზიმ, — ამისათვის მომზადებაა საჭირო, უნდა შევისწავლოთ ბევრი რამ, პირველ ყოვლისა კი —პიონერის ფიცი.

ვარსკვლავების ხელმძღვანელები — ნატო ჩიკვილაძე, მაყვალა კაპანაძე და თამაზ გიგოლაშვილი იმდღიდანვე შეუდგნენ თადარიგს.

ასე დაიწყო პატარა ყმაწვილების დიდი საქმე. ნელ-ნელა აგროვებდნენ ვ. ი. ლენინის ფოტოსურათებს, კითხულობდნენ მოგონებებს იმ ადამიანზე, ვის სახელსაც ატარებს პიონერული ორგანიზაცია, ეცნობოდნენ ალისფერი ყელსახვევის ისტორიას.

გულნაზი ხშირად იყო ბავშვებთან. ზოგჯერ იმასაც ახერხებდა, ვინც გაკვეთილი არ იცოდა, მეცადინეობის შემდეგ დაეტოვებინა და დავალება დაესწავლებინა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ამ კლასს ოროსანი არ ახსოვდა, ის კი არა, სამოსანიც თითო-ოროლა თუ იყო. ,,ორიანი‘‘ შემთხვევითი იყო და ადვილად სწორდებოდა.

ერთ ასეთ დღეს, როდესაც მერხზე სამი ზარმაცი იჯდა და მათი ,,გულშემატკივარი‘‘ იქვე თავის ამოცანას ჩაჰ-



დიდი შესვენება.

კირკიტებდა, გაკვეთილის ჩასაბარებლად შემოსულ გულიკო მასწავლებელს ფეხდაფეხ შემოჰყვა თვალებანთებული ნატო. ეტყობოდა, შორიდან მოსდევდა და ახლა კარებთან დასწეოდა.

იმ წუთას მაყვალაც გამოჩნდა.

მასწავლებელი მიხვდა, აქ ხუმრობა ამბავი არა ტრიალებდა; თურმე ნუ იტყვით, ეს თითისიგრძე ცუგრუმელები ღმერთის ყოფნა-არყოფნის საკითხს არჩევდნენ.

— ხომ არ არისო? —დაჟინებით კითხულობდა ნატო.

— სახელს რატომ დაარქმევდნენ, რომ არ იყოსო, — „ამტკიცებდა“ მაყვალა.

მასწავლებელი მიხვდა, რომ აჯობებდა ამ შეკითხვაზე კლასის წინაშე ეპასუხნა, და მოდავენი ასე დააშოშმინა: ამის შესახებ თქვენი ხელმძღვანელი ყველას ერთად გესაუბრებათო.

ასე სახელდახელოდ მოუხდა გულნაზის ანტირელიგიური საუბრის მომზადება.

## „მოდით, ვისწავლოთ ოცნება“

ეს მოხდა „დედაენის“ დღესასწაულის წინადღეებში. ოქტომბრელები გულმოდგინედ იმეორებდნენ ლექსებს, სიმღერებს, ცეკვებს...

$III^3$ კლასი ინსცენირებას ამზადებდა. გულნაზიც და გულიკო მასწავლებელიც მათთან იყვნენ. კარგად არავის ახსოვს, როდის და რატომ იკითხა ნიკო მენთეშაშვილმა, რას ნიშნავდა სიტყვა ოცნება...

— ოცნება ფიქრია, —მიუგო მასწავლებელმა, —ლამაზი ფიქრი.

ბიჭი დაჩუმდა კი, მაგრამ ეტყობოდა, ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „ლამაზი ფიქრი“.

მაშინ მასწავლებელი ასე შეეკითხა: —ხომ გინდა გახდე პიონერი და წითელი ყელსახვევი გაიკეთო?

— მინდა, —მიუგო ნიკომ.

— აი, ეს არის ოცნება. ყველა ადამიანს აქვს თავისი ოცნება, და ერთი კი არა, მრავალი. მეცა მაქვს, გულნაზისაც. ხომ ასეა? —მიუბრუნდა იგი თავის უმცროს თანაშემწეს.

— აგრე გახლავთ, — დაუდასტურა მან და თქვა ის, რასაც იმ წუთში ფიქრობდა:

—მე რომ პიონერთა რიგებში შესასვლელად ვემზადებოდი, მახსოვს, ჩვენმა ხელმძღვანელმა პავლიკ. მოროზოვის გმირობის ამბავი წაგვიკითხა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი იმ პატარა ბიჭზე და ვნატრობდი, მეც მომცემოდა შემთხვევა, რაიმე სასახელო საქმე ჩამედინა. ეს იყო ჩემი პირველი ოცნება.

— ჩვენ როდისღა წაგვიკითხავთ?— მოუთმენლად იკითხა ილია მრელაშვილმა.

— ძალიან მალე, —დაპირდა ხელმძღვანელი, —როგორც კი „დედაენის“ დღესასწაულს მოვრჩებით.

რამდენიმე დღის შემდეგ გულნაზი ეწვია ჯგუფს, წიგნი მაღლა ასწია და გამოაცხადა:

—ამ წიგნიდან ჩვენ უნდა ვისწავლოთ ოცნება, ოცნება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პიონერი!

## სამახსოვროების კალათა

უფროსი კლასელები ხშირად დადიოდნენ ექსკურსიებზე ქარხნებსა და ფაბრიკებში, პატარებს კი უმთავრესად ზოოპარკში დაატარებდნენ, ან საბავშვო ფილმებზე ასწრებდნენ.

— თოჯინების ფაბრიკაში ხომ არ წაგვეყვანა?—გაუმხილა თავისი გულისნადები ხელმძღვანელმა მასწავლებელს.

ფაბრიკა ახლოს იყო და რამდენიმე დღეში დაათვალიერეს ნათელი საამქროები და ნაირ-ნაირი თოჯინები: დათუნიები, ფრინველები, კურდღლები, მელაკუდები...

გახალისდნენ.

მეორე დღეს გულიკო კოხტაშვილმა შენიშნა, რომ რაღაც ფურცელი მერხიდან მერხზე მოგზაურობდა.

— მომეცით აქ!

მიურბენინეს. ეს იყო გუშინ ნახული „დათუნია“, ოღონდ „მხატვარს“ მისთვის „ბუნებრივი გარემო“ შეექმნა, ტყე და მინდორი მიეხატა. მისი ავტორი კაკო შავლაშვილი აღმოჩნდა. და რა დიდი იყო ბიჭის გაკვირვება, როცა მასწავლებელმა ნამუშევარი შეუქო, თარიღი მიუწერა და ბიჭს უთხრა: ჩვენ მას ამ ექსკურსიის სამახსოვროდ შევინახავთო.

იმ კვირაში რამდენიმე სხვა „სახსოვარიც“ გაჩნდა კლასში: თინა ჯადუგიშვილის ნაძერწი „მერცხალი“, ანჟელინა არუთინოვას „დედოფალა“... გულნაზი ხელმძღვანელმა ისინი საკლასო ოთახში, ფოტოსტენდის გვერდით, პატარა, ლამაზად დაწნულ კალათაში მოათავსა.

სულ მალე კალათას იების, ყოჩივარდების, ხარითვალების, ფურისულების კონები მიემატა. ისინი ყმაწვილებმა მავნაბადას ძირში თავიანთი მორიგი გასეირნების დროს დაკრიფეს. კონებს ასეთი წარწერა გაუკეთეს: „1966 წლის თებერვლის პირველი რიცხვები, როცა ჩვენ ადრეული გაზაფხულის სანახავად მავნაბადას ვეწვიეთ.“

## ლენინის დროშასთან

ახლოვდებოდა 25 თებერვალი.

გულნაზი ხელმძღვანელმა „გენერალური რეპეტიცია“ გამართა.

დღეები უსაშველოდ გაგრძელდა. მოთმინება ეკარგებოდათ. ბევრი თან დაატარებდა წითელ ყელსახვევს, კლასში გაშლიდნენ, გააფრიალებდნენ, შემოიზომავდნენ, მერე ისევ სათუთად ჩაჰკეცავდნენ.

ბოლო დღეები „ოთხებისა და ხუთების“ კვირად გამოცხადდა. კვირის ბოლოს გულნაზი ხელმძღვანელმა და გულიკო მასწავლებელმა შეაჯამეს მოსწავლეთა წარმატება. ფოტოსტენდზე აღარცერთი პორტრეტი აღარ დარჩენილა იმ სვეტის გასწვრივ, რომელსაც ურემი ჰქონდა მიხატული. ურემი „სამიანს“ ნიშნავდა. „ურმით ლენინთან ვერ მივალთ, სირცხვილია!“ — აქეზებდა ხელმძღვანელი ბავშვებს.

ისინიც ბეჯითობდნენ.

მართლაც, მხოლოდ „ოთხიანები“ და „ხუთიანები“ მოიმკეს.

25 თებერვალს კი, საბჭოთა საქართველოს 45-ე წლისთავის ზეიმზე თბილისის 124-ე საშუალო სკოლის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერულ რაზმეულს ერთი რაზმიც მიემატა, —№ 15. მესამეკლასელებმა წითელ დროშასთან საზეიმოდ დაიფიცეს, რომ ისინი არ შეარცხვენენ პიონერის სახელს, ალისფერ ყელსახვევს, სკოლას, სამშობლოს, ლენინს!

ლენინი დროშიდან უღიმოდა ბავშვებს!

**ეთერ სახვაძე.**

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

— იცი რა საინტერესო წიგნია!—ეუბნება ნუკრი ბექაური გულნაზ ყორმოზოვას.

შრომის გაკვეთილზე.

მესამეკლასელები საზეიმო შეკრებისათვის ემზადებიან.

გულნაზი ბაგნიძე შეკრების წინ ოქტომბრელებს უკანასკნელ დარიგებას აძლევს.









ვიდრე ცხოვრების დიდ გზებს გაივლიდე...

# ჩემი უსტარაული

**ლევან გოთუა**

ვუძღვნი
ჩემს ნორჩ მეგობარს—
კახა ფხოველიშვილს

ახლა მე უკვე ჭაღაროსანი ვარ და მაინც არ მიდგება გული, რომ ზაფხულში ცხრა ახალი წყარო არ ვნახო, გუნება არ მოვისალბუნო, უბის წიგნაკში არ ჩავიწერო... წყარო ხომ ყველაფრის დასაწყისია!

ეს რამდენიმე წელია, მე არმაზში, მტკვრის პირას ვცხოვრობ და, ვიდრე სახლს დავამთავრებდი, საკუთარი ხელით ნუშის წყარო მოვაპირკეთე. ახლა ხშირად მივუჯდები, მის ჩუხჩუხს ვუსმენ და წერა მიადვილდება. ჩვენი წყაროები თურმე ლაპარაკობენ!

პირველად ეს მე ბავშვობისას — უსტარაულთან გავიგე. იქ მოვისმინე წყაროს ღუღუნი და ამის შემდეგ ყოველ ახალ წყაროსთან ამ ხმას ვამოწმებ, ჩემს სმენას ვაწყობ, გულის ჟღერას ვუთანაბრებ...

უსტარაულის კილომ ბევრი სხვა წყარო და ადგილი მომატარა, ბევრი ფიქრი მისაზრდოვა, გამომიმწიფა, ბევრი წიგნი დამაწერინა, დიდი წყურვილი, მძიმე დღე და შრომა მომისალბუნა. ნეტავ შევძლებ კია ჩვენი წყაროების ვალის გადახდას?!

ათი წლის ქალაქელი ბიჭი ვიყავი. სოფელში სამოგზაუროდ კი დავყავდი მამას, მაგრამ ქალაქური იერი უხილავად უკან დამდევდა... კოზაკი და ზაქი დედალ-მამალი ხბო მეგონა. ანწლსა და ძაღლყურძენას ვერ ვარჩევდი... ვერც—მერცხალსა და ნამგალას. არც ის ვიცოდი — ტყეში თუ ჩხიკვი განგაშობს, რაღაც ამბავია! რცხილა მხოლოდ სახრეებად იზრდებოდა მეგონა. წყაროს დანახვისას, ღარის ძირში დასაკეტად, ონკანს ვეძებდი. გუთნისდედა კი შარვლიანი დედაკაცი მეგონა.

არც შრომის მადლი და ბარაქა ვიცოდი. არა, ზარმაცი არ მეთქმოდა, არც უილაჯო, მაგრამ უილეთო, ცოტა მორცხვი, ცოტა მძიმე, ცოტა მოუხერხებელი... წიგნების ტრფიალი კი ვიყავი... ძალაც თავიდანვე მერჩოდა. დიდ ქვებს ვაბრუნებდი ხოლმე ქალაქურ ეზოში.

მამაჩემს შვილები თრიალეთის მხარეზე — ერთაწმინდაში დავყავდით აგარაკად. სიარული კარგი შემეძლო. ბიჭებმა მთელი მიდამო შემოვიარეთ. აბა, წყაროებს რას გავუშვებდი უნახავს... გარდა ერთისა — საოცარ სახელიანისა, რომელსაც ვერა და ვერ მივაგენი. მაგრამ, ჯერ ვინც მასწავლა, იმისას ვიტყვი...

სიზმარა ჩემი ტოლი — ტლუ ბიჭი იყო. ტატაანთ კალოზე ჩვენი შეყრისას, ჩუმად იდგა ხოლმე და თითქოს სთვლემდა...

— სიზმარა ღამის მეხრეა, ძილი არ ჰყოფნის... ახლაც სიზმარშია! — იცინოდნენ ხოლმე ბიჭები. იგი კი, თუ იტყოდა— ბასრს იტყოდა და მძიმეს. სულ ძარღვიანი სიტყვები იცოდა. ქვების აწევაში მე და სიზმარა ყველას ვჯობნიდით და ბარიბარში ვიყავით. წყაროების ცოდნაში აშკარად მჯობნიდა. წიგნის ყოჩი კი მე ვიყავი. მეც უფრო ხშირად ვდუმდი და ვუსმენდი სოფლის ზღაპარა ბიჭებს. მაოცებდა მათი მეხსიერება, ბუნებისა და ცხოვრების უშუალო ცოდნა და წვდომა. სწორედ ის, რაც მე მაკლდა და მეტად მწყინდა.

— ტყემლის წყარო იცით?

— ვიცით... მაშ არა... ქაჩალ-ხევის თავშია...

— კოდის წყარო?..

— ქვახეთქილა?..

— ნერგის ფშანი?..

— წიფლიღარა?..

— ბაიდაანთ ხევი?..

— წაბლარა?..

— ეჰ, ტყუილი ლაპარაკია, — აქაური წყაროების მეფე— უსტარაულია! — სიტყვები ქვებივით გადმოაგორა სიზმარამ.

— უ ს ტ ა რ ა უ ლ ი! წყალიც ამდენია — რამდენიც სიგრძე სიტყვისა?

მე უკვე ლექსებს ვწერდი, ეს იყო ჩემი პირველი საიდუმლოება... სიტყვის სიგრძე-სიმოკლე უკვე ნაგრძნობი მქონდა.

— რას ამბობ, ქალაქელო! თითქმის ამ კალოს სიდიდისაა, ირგვლივ ქვიტკირშემოვლებული... შიგ—კაკა-მეველეს წელამდე წყალია!

კაკა-მეველე სოფლის უმაღლესი კაცი იყო... და კაკას წელი მე მაშინ — ყელამდე მწვდებოდა.

— ტბა ყოფილა! — ცოდნა გამოვიჩინე.

— არა... წყაროა, ყინტორი... ცხრა ბზარიდან, ნაშენში გამონახეთქი...

— ანკარაა? — ცხრა ბზარის ცეცხლი მომეკიდა და ახლა მთხრობელს კრიჭაში ძალა-ძალა ვაძრობდი სიტყვებს, — გამჭვირვალეა?

— კენჭებდასათვალავი! კარგი წყარო, თუ მიწა გაწყრა, შრება, არკი იმღვრევა!

— ირგვლივ?... სიზმარ-სიზმარ მაინც ამოღეჭე!

შევატყვე — ეწყინა, მაგრამ პასუხი მაინც ამოღეჭა...

— ირგვლივ გაუვალი თხილნარია... ზედ თრითინები დახტიან — აკნატუნებენ.

— სად არის?

— შენ ვერ მიაგნებ... უწიგნო ადგილია... — მრუდედ გადმომკრა და სულ ჩამიხლართა საუბარი, — დღე—მზე ადგას თვალბრიალა და ვარვარა გელაზად, ღამე — მთვარე — ჩაყვითლებულ ბადიმად... გამგებმა გაიგოს...

ამდენი მძიმე-მძიმე სიტყვებისაგან თავბრუ დამეხვა. ყინტორი, ალბათ, მეტისმეტად ცივს ნიშნავდა... თრითინა მხოლოდ ქალაქის სამხეცეს ბინადარი მეგონა... გელაზმა და ბადიმმა ხომ სულ გამაოგნა. სირცხვილით ველარ ვიკითხე. ყოველმა გლეხის ბიჭმა იცოდა, მე კი, ქალაქელმა, სკოლის მოწაფემ — არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიზმარამ კი ალბათ ინიშნა ჩემი ენის ჩაგდება და უფრო ააფრინა.

— ირგვლივ ღალღები და მოლაღურები შემოუსხდებიან ხოლმე. ცხირეთის მხრიდან ირმები და ნუკრები ჩამოდიან...

— დილა-საღამოს?! — წიგნში წაკითხული წამომაგონდა, აღელვებულად ავყევი, — ღამე კი...

— ღამე კი ადგილის თხუნელები და მაჩვები გამოძვრებიან, ყელს იგრილებენ, თვალებს იბანენ... მაჩქათელებს ეთამაშებიან...

ბნელაში კარგად ვერც შევამჩნიე. ვგონებ, სხვებს თვალი ჩაუკრა, მე ყბა მომიქცია ღამის მეხრემ.

არა, თხუნელა რომ ბრმა იყო, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ წყალს სვამდა თუ არა, ეს არ გამეგებოდა..

— თხუნელა თვალებს...

— ახლა უნდა მაყბედო განა?! წადი და ნახე... მაგრამ მარტო... თუმცა შენ ქალაქში სკოლასა და ბაზარს მიაგნებ, ტყეში — უსტარაულს კი ვერა! — სიტყვა სახრესავით გადამიჭირა, — ჩხიტ-ბრიც! გზა არავინ ასწავლოს, ვნახოთ მაგის წიგნიკაცობა!

— წავალ და ვნახავ!.. მივაგნებ, თუ ზღაპარი არ არის, სიზმარავ, ეგ შენი უსტარაული! უწიგნო ადგილს კი ისევ და ისევ წიგნი მიმაგნებინებს!

ადრე ავდექი. შინ თხილის საკრეფად დავეთხოვე. კიდობნიდან დედის პური ამოვიღე, უჯრიდან — მამის „სიტყვის კონა" სულხან-საბასი, და უსტარაულის საძებრად წავედი.

ტყის ბილიკზე შაშვები და ჩხართვები მიმაცილებდნენ, ნახნავ-უხნავებში — ღალღები და ტოროლები. წიფლიანში თრითინამ გადაირბინა. მთაზე შეფენილ ჯაგნარში სოფლის ნახირის ნასხლეტი ირმებად მეჩვენა. ერთი სიტყვით — უკვე უსტარაულის კილოზე აწყობილი მივდიოდი. ცისა და მიწის შუა წყაროს დავეძებდი და, მიმართულების გარდა, მხოლოდ ცხირეთის ციხის ნანგრევები დავიმახსოვრე.

ბევრი ვიარე. დავისიცხე. მომწყურდა. წყაროს პოვნის სურვილი უფრო მომიძლიერდა. მთიდან — მთაზე გავხედე, ცხირეთის ნანგრევები დავინახე. უკან დამრჩენოდა. უსიერი ტყე-ხეობა გამოვიარე და ცხირეთის ძირობებში ვიწყე ირგვლივ ბორიალი. მეხრეებსა და შეშის მჭრელებს მე თვად ვერიდებოდი. მილიციელი იქ არ იდგა და ცნობათა ბიურო არ იყო, რომ ზუსტი მისამართი გამეგო.

კოდალას ხმა-კაკუნი გაისმოდა. ხევ-ხევ ჩავყევი. ქვევით გაავებული ჩხიკვი განგაშობდა. თითქოს მთელ ქვეყანას ედავებოდა. ქორიც იქვე რკალავდა ჰაერში. მეც იქით მივეტანე.

მიჯრილ თხილნარში, თითქოს ჟღურტული და ხვნეშა მომესმა. წავიწიე და სმენად ვიქეცი. ნაკაფს წავაწყდი. ფლატეში თითქოს ნოტიოც იგრძნობოდა. ახლა უფრო მკაფიოდ მომესმა ტლაშუნი... და ვგონებ—წყლის შეჩხრიალიც. ფეხაკრეფით ჩავყევი, დაბურულ ტაფობს თავს დავუარე... ბუჩქნარი გადავწიე და კრთომით გადავიხედე... ჩემს წინ უეჭველად უსტარაული იყო. არა ზღაპრული, არამედ ნამდვილი... მართლაცდა მორჩილ კალოს ოდენა, მიწის პირამდე ქვიტკირდავლებული მოზრდილი ღრმული და შიგ განა სიზმარას ირმები — კამეჩები ეყარნენ და კუდებს სიამით ატლაშუნებდნენ.

დაოფლილ საფეთქელთან რაღაც მეტკინა. თითქოს კამეჩმა ჩემს ოცნებას შემოჰკრა, ისიც—არა რქა, არა წიხლი, არამედ სველი კუდი.

ბუჩქი გადავთელე და წყლის კალოს თავს წავადექი. კამეჩები არც შეფრხეულან. სწორედ ორი უღელი იყო, მე კი უამ-

რავად მეჩვენებოდა... ჩხიკვიც აქ იყო... მხოლოდ მან უმატა ირგვლივ ფრენასა და ჩხივილ-ფორიაქს.

— ადე, ჰო! — უხერხულად შევძახე და ხელები ავუქნიე. მაგრამ... ნუთუ კამეჩებმაც გამოიცნეს ჩემი ქალაქელობა?!. გაკვირვებით თავი იბრუნეს... ის იყო და ის. ჩხიკვზე მეტად არც მე ჩამთვალეს! სიბრაზისაგან თავი აღარ მახსოვდა. ფერხთით ქვიტკირის ბზარი შევამჩნიე, ქვა ავაგლიჯე და ერთობლივ კამეჩებს ვახალე. ქვა დიდი და გვერდალესილი გამოდგა, ქედზე მოხვდა ერთ-ერთს და ტყავი ჩაუბალთა. სისხლი შეერია უსტარაულს. ახლა კი იკადრეს წამოვარდნა და წყაროდან გადანადენ მოზრდილ რუს მიაშურეს, უფრო გათქერეს და თხილნარში ლაწალუწით გაუჩინარდნენ.

ჩხიკვიც თითქოს დაწყნარდა და გაფრინდა.

ახლა მე და ამღვრეული წყარო მარტონი დავრჩით.

დაწდომამდე თვალი ვეღარ გავუმართე. თითქოს მეც დამნაშავე ვიყავი. მოლოდინში „სიტყვის კონა“ გადავმალე, სიზმარას ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობა გავარკვიე. ახლა „ცხრა ბზარა“ გამონადენს დავუწყე ძებნა. წყლის შუა კალო კიდევ ნამღვრევი იყო. შემორგვალებული ნაშენის ბზარებში და ფსკერზე დაყრილი ქვების ძირიდან კი დანის პირივით მოძვრებოდა ანკარა ნაკადი. ზოგან ბუთქა-ბუთქად ამოდიოდა. მაგრამ, რაც უფრო იწმინდებოდა დევ-წყარო, უფრო ვამჩნევდი ახალ ნაკადებსაც და შიგ ჩაშლილ თუ ჩაყრილ ლოდებსაც. და ისე შემეცოდა შარავანდდაზიანებული, ჩაქოლილი წყაროთა წყარო, რომ ბევრი აღარც მიფიქრია — გაუხდელად შიგ ჩავხტი და ქვების ამოყრა ვიწყე. წყარო მართლაც „ყინტორი“ აღმოჩნდა, მაგრამ გავჯიქდი და ფეხი აღარ მოვიცვალე. ჩაშლილი კიდეების ამოშენება ვიწყე. ჯერ ვერ გამომდიოდა, მაგრამ ვიმუყაითე, სიპი ქვები შევურჩიე და მუშაობა ავაწყვე. თანაც გავხურდი.

შუა შრომაში თუ ვიყავი, რომ ვიღაცამ შემომძახა:

— შენ დამიშავე?!

და... ვიდრე მოვბრუნდებოდი, ვიღაც, პირდაპირ წყალშივე, ზურგზე შემომახტა და კისერში მუშტი ჩამცხო. მერმე ყველაფერი აირია... ორივე ერთად წყაროში ვგორაობდით... ხან მე ვიყავი ქვევით, ხან მომხვდური... განურჩევლად ვცემდით ურთიერთს... ისევ წყარომ გაგვაშველა. ბლომად გვაყლაპა წყალი და მალე გაგვყარა. მაშინღა ვიცანი სიზმარა.

გაღმა ის ჩამოჯდა კალო-წყაროს კიდეზე, გამოღმა მე. მას ორივე თვალის უპე ჰქონდა ჩალურჯებული, მე ცხვირიდან სისხლი მდიოდა.

— ქედზე ქვას დაჰკრავს კამეჩს ადამიანი?!

— ასეთ წყაროში კამეჩებს ჩადენის ადამიანი?!

სიზმარა დადუმდა, მერმე გამოცვლილი კილოთი მითხრა:

— ცხვირი ჩამოიბანე... გიამება უსტარაული... ჭკუასაც ისწავლი!

— შენც თვალის კილოებში ამოისვი, ყინტორია... არც შენ გაწყენს!

მან ახლა ჩემს ამოშენებულ კედლებსა და ამოყრილ ქვებს დაადგა თვალი...

— მაშ, მოაგენი! ახლა რაღას აკეთებ, უგუნურო?

— წყაროს ვაშენებ... შენს ნათქვამს უნდა ვამსგავსო, უწიგნურო!

ახლა წიგნი დაინახა...

— ეგ არის შენი გამგნები და მარჩენალი?!

— დიახ... შენი?

— ჩემი კი — კამეჩებია!.. შენ რა იცი შრომის მადლი და ხვავი?

ხვავი არ ვიცოდი, მაგრამ არ დავიხიე...

— არ ვიცი და, „სიტყვის კონა“ აქ არა მაქვს?!

— აბა და ვნახოთ!

ეს უკვე მთელი საწიგნეთის გამოწვევა იყო... ვფურცლე და ვძებნე. იგი გაფაციცებით მიმზერდა. ჩვენს შორის მთავარი ჩხუბი ახლა იყო.

ვიპოვნე. ცხრა წყაროსა და ცხრა ცას ვეწიე.

— ხვავი — შეგროვებული მარცვალი...

მოჩხუბარი მონუსხულივით გაირინდა. თითქოს მასაც კისერში მოხვდა ჩემი ქვა... თავი დაჰხარა...

— ეს კონა-წიგნიც წყაროსავით ყოფილა...

— თუ მოუარე... — ერთი კენჭიც ვტყორცნე. ჩანს, მოვარტყი. უბრად ადგა და ბუჩქნარში გაუჩინარდა. მე ისევ ჩავდექი წყალში და შრომა განვაგრძე.

ისევ შრიალი შემომესმა. სიზმარა იყო — დიდი ლორფინები შოთებივით იღლიებში ამოედო, წყაროს ნაპირზე დამიყარა და კვლავ გაუჩინარდა. მერმე აღარც მომიხედავს... ნაპირზე დაყრილი ქვების ხრიალი კი ხშირად მესმოდა.

ბოლოს, შორიახლოდან, კაფვის ხმა შემომესმა, მერმე—კამეჩების ყროყინი... სიზმარას დაყვავებული შეძახილი. კოდალამ სულ ახლოს შემოჰკრა თავისი სარაკუნა. ნიბლია შემოჯდა თხილის ტოტზე. ცხირეთის ნანგრევების მტრედები ჩამოფრინდნენ. მოლაღურმა უკვე „თავის შვილად“ მიმიღო და გადმომძახა.

ბუნება თითქოს მეც თანდათან მიღებდა თავის ცხრაკლიტულს.

სიზმარას მოტანილ ქვებსაც გულდაგულ მივწვდი და კალო-წყაროს შენგრეული ოდრიკალას ზედაპირიც მოვულორფინე, ხავსი და ხვიფლი ჩამოვუწმინდე, ფსკერი ერთიანად მოვუსუფთავე, ჩაყრილი ლოდები გავაცალე. მალე დავრწმუნდი — მიწა არ გასწყრომია ჩაქოლილ წყაროს. ცოტაც და, უსტარაულის ლურჯ-ნაპერწკალა სივრცე უკვე პირველანკარა სილამაზით ლივლივებდა. მზეც, მართლაცდა თვალბრიალა და ვარვარა გელაზად ადგა...

გადადენილ რუს თვალი გავაყოლე. ცოტა ქვევით, ბუჩქზე, შარვალ-ხალათი და ქალამნები გასაშრობად ეკიდა, მათი პატრონიც დავინახე... დედიშობილა მუშაობდა. სარებს ასობდა, უსტარაულს რუს მხარეს უღობავდა.

მეც გავიხადე სამოსი და მზეზე გავფინე. მერმე სიზმარას ჩავეშველე. არც დაუშლია, მაგრამ არც შერიგების სიტყვა უთქვამს. არც მე.

როცა ღობესაც თავი მოვუხვიეთ, სარების ამოშვერილი წვერების მოჭრა იწყო.

ახლა კი შევედავე:

— იყოს... რატომ აჭრი... უმჯობესია!

— კამეჩები ისედაც ვეღარ გადმოვლენ. წყალს ქვევითაც დალევენ... ტალახშიაც ჩაეყრებიან... ირმები კი არ დავაშავოთ!

— განა...

— ირმები მხოლოდ წყაროში სვამენ პირველანკარას!

ისევ ვიგრძენი — მე ადრეულად, წიგნით განსწავლული ვიყავი, იგი — ადრეულად ბრძენი და ბუნებით გაცნობიერებული.

შემოკავებას რომ მოვრჩით, ისევ წყლის კალოს მოვუბრუნდით. ჩვენი შიშველი სხეულები წყაროს სარკეში ლივლივად ჩანდა. უკვე კენჭების დათვლაც შეიძლებოდა.

სიზმარამ ჩაძიებით ჩაათვალიერა ჩემი ნამუშევარი. ჩანს, მოეწონა.

— აქამდე ჩემი იყო უსტარაული... ახლა ნახევარი შენია!

ბარიბარში ვართ ყველაფერში.

მერმე, შემშრალი სამოსი ჩავიცვით და დედის პური გავტეხეთ. სიზმარამ პანტა, თხილი და ველური პრასა სახელდახელოდ გააჩინა. წყაროს მახლობლად თავისი შენახული ქვამარილიც მოიტანა. უკვე პირველანკარად დამწდარი უსტარაულის დაყოლებით ყველაფერი გემრიელი და ყუათიანი იყო. თავჩახრილები ვისხედით და ცას აღარ ვუმზერდით — ყველაფერი წყაროს კალთაში ჩანდა... გადახრილი მზე, ადრეულად გამოჩენილი მთვარე, ცხირეთის მთის გადმოწოლილი ჩრდილი, ახლო — ხეებისა და თხილნარის წყალქსოვილა. თითქმის მთელი ქვეყანა უსტარაულის ანარეკლში იხატებოდა.

ღამის მეხრეს კი თავისი იდუმალი ნიშნები, ჩანს, კიდევ ბლომად ჰქონდა; წყალს პეშვი ამოჰკრა და უსტარაულს ქვის შარავანდედი მოუნამა...

— ახლა ჩემი ,,ბუნების კონაც“ ნახე!

ნამცეცების გარდა, ყველაფერი მოვასუფთავეთ და წყაროზედ გადმოწოლილ ბუჩქნარში გავინაბეთ. სიზმარამ წიგნი უხერხულად გადაფურცლა.

— აბა, ერთი პრასა ნახე, ოღონდ ჩუმად. ახლა პანტაც. ნუთუ ღობეც იქნება?

...და როდესაც ღობეც და ზღუდეც ვაჩვენე, ჩუმად წავუკითხე... ახლა ,,კონაში“, წყაროს პოვნა შემემუდარა. გატაცებით მისმენდა. აღარ ეყო თითები წყაროს სახეობათა დასათვლელად.

მაგრამ მალე უსტარაულმა სძლია საბა-სულხანურს. ჯერ ჩხიკვი მოფრინდა, ჩემს ახალშენზე ჩაკიდებულად წყალი მრავალგზის შესვა, ცას შეხედა. წყაროში არეკლილად — ორი ჩხიკვი თითქოს ჩხუბობდა წყალში... ჩვენი ჩხუბი მოგვაგონდა და სიცილი ძლივს შევიკავეთ. ზედაც ოფოფი მოფრინდა, სავარცხელა დაისველა და კოპწიად შეირხია. მერმე შაშვები მოჭახჭახდნენ... ყვითა-ყვითა მოლაღურები. ლაჟო ჩიტებითა და მესკიებით აივსო საუსტარაულო. ჩვენი დაყრილი ნამცეცები აკენკეს. წყვილად გვრიტი მოფრინდა, საოცარი შნო მისცა წყაროს. ქორის ჩრდილმაც გადაუარა ჩამუქებულ სარკეს და წვრილჩიტობა ჩვენსავით განაბა. უეცრად, ფრთოსნები გაფრთხნენ და ბუჩქებიდან წყაროს კიდეზე თრითინები გადმოეკიდნენ. უკვე ბინდდებოდა, მაჩვი რომ ამობაჯბაჯდა, მისუნმოსუნა აქაურობა, წყალი დიდხანს, დაწაფებით აწკლაპუნა



რუს მხრიდან გრძელნისკარტა ტყის ქათამი გამოგოგმანდა, შემოფეთებულ თვალბრიალა ჭოტს გაერიდა, ნისკარტი მოუშვირა; ცხირეთის მხრიდან ტურების ჭყავილი მოისმა. მერმე ყველაფერი დადუმდა და შენივთებულ ბინდს შეეხიზნა.

...და მაშინ სულ მკაფიოდ გავიგე უსტარაულის ცხრავე ნაკადის ჟღურტული და ჩუმი ბაასი, დედამიწის სიღრმისეული სიტყვა-ბგერის ჩურჩულა ხმა და თითქოს შორი, მომხიბლავი გალობა, რომელიც მე მთელი სხეულითა და ყველა გრძნობებით მესმოდა...

— გესმის?! — ყურში ჩამჩურჩულა სიზმარამ.

— ახლა მესმის! ეს კი ჩემს ,,კონაში" აღარ სწერია!

— ახლა შვლის ნუკრისა და ირმების მოსვლის დროა!..

ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, პაპა სიზმარა ერთაწმინდელი მიწის მწერალია — გუთნისდედაა, სოფელში ხნიერი და ალბათ ყველაზე უფრო გულგამჭრიახი კაცი. ჩვენი შეყრისას კი ,,ძველბიჭურად", მოლაღურის კილოზე ვსაუბრობთ ხოლმე:

— ბიჭო, იპოვე?

— ვერა... მრავალი ვნახე... ისეთი კი — ვერა!

— მაშინ ჩვენც წყაროებივით ვიყავით...

— ბიჭო, შენგან მახსოვს —,,კარგი წყარო, თუ მიწა გაწყრა— შრება, არკი იმღვრევაო".

— წიგნში ჩასწერე, წიგნში... კაციც წყაროსავით ანკარა უნდა იყოს!

წყაროს საიდუმლოება ბავშვობიდან გაგებული მაქვს. მისი ნახვა და ერთი პეშვის შესმა სრულიადაც არ ყოფილა საკმაო. საჭიროა საკუთარი უსტარაულის პოვნა, ბეჯითი შრომით შეზიარება; ასაშენებელის აშენება, მოსამთავრებელის მოთავება, აღსადგენის აღდგენა. მხოლოდ მაშინ გაგიხსნის გულს წყარო და ენას შენს გასაგონად ამოიბამს. მე კი ახლაც, სადაც ხელი მიმიწვდება, ყველგან მოვინახულებ ხოლმე წყაროს, თითო ქვას მაინც ვუმატებ, ღარს ვუსწორებ, ჩინჩხვარს ვაცლი და მხოლოდ შემდეგ ვსალბუნობ და გულისყურით ვუსმენ მის უკვდავ ღუღუნს.

ნეტავ შევძლებ კია, ჩვენი წყაროების ჩემი წილი ვალის გადახდას?!

მხატვარი დ. ზარაფიშვილი



# საქართველოს ჩანჩქერები



საქართველოს თითქმის ყველა მდინარეზეა ჩანჩქერი, მაგრამ ყველას ნახვა ადამიანისათვის ძნელია, რადგან ისინი მეტწილად ძნელად მისადგომ მთის ხეობებში მოქუხან.

ჩვენს დედაქალაქ თბილისშიცაა ჩანჩქერები. წავკისის წყალზე, ბოტანიკურ ბაღში, ორი საკმაოდ დიდი ჩანჩქერია. ერთ მათგანზე, ბაღის შუაგულში, გადებულია ხიდი, საიდანაც ადამიანს შეუძლია ჩანჩქერის მშვენებით დატკბეს.

ვინც ბორჯომში ყოფილა, უსათუოდ ნახავდა პარკში 137 მეტრის სიმაღლიდან გადმომქუხარ ჩანჩქერს. ეს მდინარე შავიწყლის სათავიდან, რკინიგზის ელსადგურისათვის გამოყვანილი წყალია, რომელიც ბორჯომში მთის კალთაზე ეშვება და ბორჯომულას ერთვის.

ჩვენი ნორჩი ტურისტები კარგად იცნობენ ჩანჩქერს, რომელიც გუჯარეთის ხეობაში 60 მეტრის სიმაღლიდან ეშვება.

თვალწარმტაცი სანახავია ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში, მთაშავაზე, კარსტული მღვიმიდან გადმომდინარე ჩანჩქერი, რომელსაც წყალმეჩხერი ეწოდება. ეს ჩანჩქერი 50 მეტრის სიმაღლის კლდიდან ეშვება.

არანაკლებ საინტერესო სანახავია კავკასიონის მაღალ მთებში ჩამომქუხარე ჩანჩქერები. ერთ-ერთი ასეთი ჩანჩქერი ყაზბეგის რაიონშია, მდინარე გველეთის წყალზე. ეს ჩანჩქერი ორ საფეხურად ეშვება შვეული კლდიდან. მთავარი საფეხურის სიმაღლე 22-24 მეტრია. იქ, სადაც ეს ჩანჩქერი ვარდება, გათხრილია დიდი ორმო, რომელშიც საშინელი მორევი ტრიალებს. ირგვლივ გამაყრუებელი ხმაურია და ჰაერი წყლის შხეფებითაა გაჟღენთილი. აქ, მზიან ამინდში, ცისარტყელები ჩნდებიან. უყურებ ამ ჩანჩქერს და უნებლიედ გაგონდება პოეტ რაფიელ ერისთავის სიტყვები:

სპეტაკი, მთაში ნაშობი,
კლდიდან გადმობქუხს
ჩანჩქარი.
ცვივა და ცვივა სპეკალი,
ზვირთი ზვირთს მოსდევს
ჩქარ-ჩქარი,
ზღვა წვიმად გამალებულა,
ქუხს და ბუქი დგას თქორისა,
შიგა ჰბუქნავენ, ცელქობენ
სხივები მზისა შორისა!..
დაბლა ქაფი დუღს,
შრიალებს,
ჰბანს და ჰრეცხს სალსა
კლდოვანსა,
აქ ცისარტყელაც ამშვენებს
ტყეს და ველს ყვავილოვანსა.

შ. გოგატიშვილი.




## ქიმიური ვიქტორინა

ქიმიის მოყვარულებო, განყოფილებაში „სახალისო ქიმია“ ამჯერად გთავაზობთ „ქიმიურ ვიქტორინას“. განყოფილება მიჰყავს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს ნიკო ჯაფარიძეს

ბუნებაში, ჩვენს გარშემო, ხშირია მოვლენა, რომელთა ახსნა მხოლოდ ქიმიას შეუძლია. „ქიმიურ ვიქტორინაში“ დასმულ კითხვებზე (კითხვები შეესაბამება სასკოლო პროგრამას) სწორი პასუხის გაცემა ნიშნავს ამა თუ იმ მოვლენის ახსნას

პასუხები გამოგზავნეთ რედაქციაში

1. შაქრის წყალხსნარში შერეულია ვერცხლისწყლის ჟანგი. ფიზიკური და ქიმიური პროცესების მეშვეობით ამ ნარევისაგან როგორ მივიღოთ სამი რთული და ორი მარტივი ნივთიერება?

გაითვალისწინეთ სათანადო პროცესების ჩატარების თანმიმდევრობა.

2. მოცემულია მჟავას ხსნარი. ლაბორატორიაში ინდიკატორებიდან მხოლოდ ფენოლფტალეინი აღმოჩნდა. როგორ დაამტკიცებთ ამ ინდიკატორის გამოყენებით, რომ ხსნარი მჟავას შეიცავს?

3. სპირტქურის ალში პინცეტით შეიტანეთ შაქრის ნატეხი. შაქარი გალღვება, მაგრამ არ დაიწვება. შაქრის მეორე ნატეხს დააყარეთ პაპიროსის ფერფლი და შეიტანეთ ალში. შაქარი ალის წარმოქმნით დაიწვება. თქვენთვის ცნობილი რა მოვლენით აიხსნება ასეთი შედეგი?

4. რა ნივთიერებას „აქრობენ“ წყლით, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იწვის?

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „ნაკადული“ მალე გამოსცემს ფრანგი მწერლის ბერნანდერ დე სენ-პიერის ცნობილ ნაწარმოებს „პოლი და ვირჟინი“. რომანში სადად და უბრალოდაა აღწერილი ტროპიკული ქვეყნის ულამაზესი ბუნების წარმტაცი სურათები და ასეთივე ლამაზი და უბრალო სიყვარულის ამბავი, ამ სიყვარულის ტრაგიკული დასასრული, რაც საფრანგეთის უსულგულო მაღალი საზოგადოების ჩარევამ გამოიწვია.

სენ-პიერის რომანმა დიდი აღიარება ჰპოვა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხში. ქართველმა მკითხველმაც დიდი ხანია შეიყვარა იგი. ამიტომ გამომცემლობა ხელახლა გთავაზობთ ამ წიგნს.

●

ვინ არ იცნობს ცნობილი საბავშვო მწერლის როდიონ ქორქიას სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილ მოთხრობებს „მარილის აკვანი“, „ბუდიონის პაპიროსი“ და სხვ. ა̂ ნაწარმოებებთან ერთად. კრებულში — „ყველგან შინა ვართ“ — შესულია მწერლის ახალი მოთხრობები. კრებული კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი პატარა მკითხველებისათვის.

●

იური იაკოვლევი თანამედროვე რუსი საბავშვო მწერალია. მის კალამს მრავალი ლექსი, პოემა და მოთხრობა ეკუთვნის. იაკოვლევის გმირები თქვენი თანატოლი ბიჭუნები და გოგონები არიან.

პეტრიკელა იგივე პეტრუშკაა — რუსული სახალხო თეატრის ტაკი-მასხარა თოჯინა. პოემა, რომელიც ამ თოჯინის სახელს ატარებს, რუსეთში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამბებისადმია მიძღვნილი.

●

„მისი დაბადების დღე“ ვახტანგ კახაძის საბავშვო მოთხრობების მეხუთე კრებულია.

ამ მოთხრობების გმირები უმეტესად ჩვენი ეპოქის ბავშვები არიან; სად არ შეხვდებით მათ: ქალაქად თუ სოფლად, ქუჩაში თუ ტყეში, ველ-მინდვრებზე თუ მდინარეთა ნაპირებზე. ისინი ბევრ კარგ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ...

წაიკითხეთ ეს წიგნი, მასში მრავალ საინტერესო ამბავს ამოიკითხავთ თქვენს თანატოლებზე.

●

ღვაწლმოსილი მწერალი სანდრო შანშიაშვილი ცნობილია თავისი კარგი პიესებით, ლექსებით და პოემებით. მწერალს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ბავშვებიც და მათთვისაც შექმნა ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, პოემები, იგავები.

კრებულში შეტანილია მწერლის რჩეული საბავშვო ნაწარმოებები. ბავშვების დიდი სიყვარულით შექმნილ ამ ნაწარმოებებით ავტორი შთააგონებს ნორჩ მკითხველებს: იყვნენ შრომისმოყვარენი, კეთილნი, ბეჯითები სწავლაში, უყვარდეთ სამშობლო, პატივს სცემდნენ მშობლებს, უფროსებს, ახლობლებს.

მოცულობითა და შინაარსით კრებულიდან გამოირჩევა პოემა-ზღაპარი „გიგლა ბიჭი“. მასში ასახულია, თუ როგორ ბედოვლათობდა ბავშვობაში გიგლა. ვინც ამ ნაწარმოებს დაკვირვებით წაიკითხავს, ის ადვილად მიხვდება, როგორ გახდა გიგლა ბიჭი შრომისმოყვარე და ყველასათვის სამაგალითო.

●

გამოვიდა ბავშვების საყვარელი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის კორნეი ჩუკოვსკის მოთხრობა „ვერცხლის ღერბი“. მოთხრობაში ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით, მეტად საინტერესოდ და ამაღელვებლად მოგვითხრობს თავის ბავშვობაზე.

...„სტყუი! — ცხარედ შევეკამათე მე. — ოთხას თორმეტი კი არა, ორას თოთხმეტი!“ აი, ეს კამათი იყო სწორედ, საბედისწერო რომ შეიქნა მეხუთეკლასელ კორნეი ჩუკოვსკისათვის. გიმნაზიის დირექტორმა ბურგმეისტერმა იგი გიმნაზიიდან გააძევა. რა ბედი ეწია ცხოვრებისაგან გარიყულ ბავშვს? ამის შესახებ მოგვითხრობთ ეს წიგნი.





რეზო ჩხეიძე,
კინორეჟისორი,
საქ. სსრ სახალხო
არტისტი

# როგორ ვიღებთ კინოფილმს

ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალ ფილმში, ყველასათვის მოულოდნელად, არენაზე გამოდის სრულიად გამოუცდელი მსახიობი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — მსახიობი არაპროფესიონალი, რომელიც არც არასოდეს ყოფილა მსახიობი, და, შეიძლება, არც აპირებს ამ გზით სიარულს. კინოში არიან, როგორც იტყვიან, „ქუჩიდან მოყვანილი" მსახიობები, რომლებმაც შეძლეს პირველი როლის კარგად განსახიერება და შემდგომაც, იმის გამო, რომ სათანადო ნიჭი აღმოაჩნდათ, სამახელოდ გააგრძელეს გზა. ასე მოვიდნენ კინოში: ნატო ვაჩნაძე და სპარტაკ ბაღაშვილი. ს. ბაღაშვილმა უბადლოდ განასახიერა არსენა კინოსურათ „არსენაში" (რეჟ. მ. ჭიაურელი). საინტერესო იყო თამარ ციციშვილის მიერ განსახიერებული დარიკო კინოსურათ „დარიკოში" (რეჟ. ს. დოლიძე). ასევე მოვიდნენ კინემატოგრაფიაში ცნობილი საზღვარგარეთელი მსახიობი ქალები: ჯინა ლოლობრიჯიდა, სოფი ლორენი, სილვანა პამპანინი... ჯინა ლოლობრიჯიდამ თავის ავტობიოგრაფიას სათაურად დაარქვა „ჩემი შესანიშნავი თავგადასავალი". მართლაცდა, შესანიშნავი და უცნაურია როგორც ჯინას, ისე ბევრი უცხოელი კინოვარსკვლავის ბიოგრაფია. ამერიკაში, ჰოლივუდში, მე მაჩვენეს ის კაფე, სადაც ნაყინს ყიდდა ლანა ტიურნერი. ის ამ ადგილზე შეამჩნია კინორეჟისორმა და სტუდიაში მიიწვია. შემდეგ ლანა ცნობილი „ვარსკვლავი" გახდა. ამის შემდეგ იმ სანაყინეში, სწორედ იმ ადგილისათვის, დღემდე დიდი კონკურსია. ყოველი ამერიკელი ლამაზი ქალიშვილი ცდილობს აქ მოეწყოს, რომ იქნებ თავისი წინამორბედის ბედი ეწვიოს — რომელიმე რეჟისორმა შეამჩნიოს...

რამდენად გამართლებულია ასეთი ექსპერიმენტები, ე. ი. არაპროფესიონალი მსახიობების ძებნა? როგორც ისტორია გვიჩვენებს, ასეთი ექსპერიმენტები გამართლებულია. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: გააჩნია, როგორი როლია სათამაშო, რა ფსიქოლოგიური სიღრმისა და როგორი ხასიათის ფილმის შექმნას ისახავს მიზნად რეჟისორი. სასაცილოა იფიქრო, რომ რომელიმე არაპროფესიონალს შეეძლო შეესრულებინა ფერნანდელის ან ტოტოს როლები კინოფილმებში „კანონი არის კანონი" ან „ნეაპოლი — მილიონერების ქალაქი", ან ვინმეს შეეცვალა ვივიენ ლი „ლედი ჰამილტონში", ოდრი ჰეპბერნი ნატაშა როსტოვას როლში „ომსა და მშვიდობაში", ან სერგო ზაქარიაძე „ჯარისკაცის მამაში". და თუ კინოში (თეატრისაგან განსხვავებით) მაინც ხდება „სასწაულები", როდესაც მთავარ როლში მოულოდნელად გამოჩნდება მსახიობი-არაპროფესიონალი, ეს იმიტომ, რომ კინოში დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობის ნატურალურ-კონკრეტულ მონაცემებს და ამ მონაცემების ზუსტ დამთხვევას ავტორის მიერ დაწერილ როლთან. როგორც ცნობილია, კინოში, თეატრთან შედარებით, ძალიან ძნელია გრიმის ხმარება და, საერთოდ, სახის შეცვლა. ჩვენ, კინემატოგრაფისტები, რთული გრიმის ხმარებას, ასე გასინჯეთ, სახეზე წვერის დაკვრასაც კი, ვერიდებით, რადგან ეს ეკრანიდან „ყვირის". ამიტომ ხშირად, როდესაც ემთხვევა როლისათვის საჭირო გარეგნობას ქუჩაში მოძებნილი მსახიობის გარეგნობა (განსაკუთრებით ეს ეხება ქალიშვილებს), როდესაც როლი არ არის ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათისა — საკითხი სწორედ ასეთი ზუსტი დამთხვევის სასარგებლოდ წყდება.

ამგვარად, მოსამზადებელ პერიოდში, ირჩევა რა მთავარი როლების შემსრულებლები, იწყება მათთან რეპეტიციების ჩატარება და ირჩევა გადასაღებად აუცილებელი ნატურა, ე. ი. ის ადგილები ბუნებაში, სადაც უნდა ჩატარდეს გადაღებები. ნატურის შერჩევა მეტად სერიოზული საქმეა და იგი ფილმის ხარისხიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუ როგორ გამოიყურება ბუნება ფილმიდან — ეს არასოდეს არ არის შემთხვევითი რამ. ბუნების ხასიათი გამოხატავს იმ მხატვრულ სტილს, რომლითაც გაკეთებულია მთელი სურათი. როდესაც იტალიაში ფეხი მოიკიდა ნეორეალისტურმა პროგრესულმა სკოლამ (რეჟისორები: ვიტორიო დე სიკა, რობერტო როსელინი, რენატო კასტელანი, ჯუზეპე სანტისი, ედუარდო დე ფილიპო, პიეტრო ჯერმი და სხვ.), ისინი შეეცადნენ სიმართლე ეთქვათ მაყურებლისათვის იტალიის დუხჭირ ცხოვრებაზე. უპირველეს ყოვლისა, ეკრანიდან გაქრა ის, რითაც იტალია გარეგნულად ბრწყინავდა: გაქრა პალმები, ფორთოხლის ბაღები, ულამაზესი ზღვის სანაპიროები. იტალიელმა რეჟისორებმა დახატეს შესანიშნავი, უბრალო ადამიანები თავიანთი ყოველდღიური ფიქრებითა და ბრძოლით არსებობისათვის, გააშიშვლეს ცხოვრება და მოხსნეს ეკრანიდან ყოველგვარი გარეგნული სამკაული, რასაც შეეძლო ყურადღება მიეზიდა და დაკარგულიყო მთავარი — თემა ადამიანისა, მისი სოციალური გარემო. იტალიელი პროგრესული ოსტატები დაუპირისპირდნენ თავიანთ კოლეგებს, რომლებიც ქმნიდნენ ზერელე, არაფრისმთქმელ ფილმებს, სადაც მთელი ბრწყინვალებით იყო მოცემული იტალიის გარეგნული მხარე, მისი ბუნების სიკამკამე. მაგრამ არ იყო ადამიანი თავისი ცხოვრებითა და პრობლემებით. ამგვარად, როგორც ხედავთ, ნატურას და მის ჩვენებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფილმის საერთო სტილისათვის.

კინოფილმ „ჯარისკაცის მამისათვის" შესაფერისი ნატურა რომ შეგვერჩია, ჩვენ შემოვიარეთ ის ადგილები, სადაც წარმოებდა სამამულო ომის სისხლისმღვრელი ბრძოლები, გადავიღეთ საბრძოლო ეპიზოდები ნაროფომინსკში, — მოსკოვიდან 80 კმ. დაშორებით, სადაც ნამდვილად გადიოდა მოსკოვის დაცვის ხაზი, სადაც აქა-იქ ისევ ეყარა 23-24 წლის წინათ აფეთქებული ნაღმის ნამსხვრევები, ტყვიები, რკინის მუზარადები, სადაც ყოველ ნაბიჯზე იყო გმირთა საფლავები... რიგასთან კადრებს ვიღებდით 22 წლის წინათ გათხრილ საბრძოლო სანგრებში, რომლებიც ბალახსა და ბარდს დაეფარა. კალინინგრადში (ძველ კენიგსბერგში) ჩვენ კადრებს ვიღებდით ომისაგან დანგრეულ და დაფერფლილ სახლებში, რომლებიც ახლაც დგანან ამ ქალაქში, როგორც ცოცხალი მოწმენი ომის საშინელებისა. ყოველივე ამან შექმნა დიდი დამაჯერებლობა, რასაც კინოში ვერაფრით ვერ შეცვლი.

მოსამზადებელ პერიოდში, ყველა ამ აღნიშნულ სამუშაოებთან ერთად, საჭიროა მთლიანად დამზადდეს გადასაღები რეკვიზიტი, ე. ი. ყველა ის საგანი, რომლებიც საჭიროა გადაღების დროს: ხმალი იქნება ეს თუ მეფის გვირგვინი, თოფი თუ ძველი ეტლი, ღვინის ფიალა თუ გერმანული ტანკი. ყოველივე ეს უნდა დამზადდეს ესკიზებისა და ზუსტი ნახაზების მიხედვით, სტუდიის სადურგლო თუ ბუტაფორულ საამქროში. ეს მეტად ხანგრძლივი და ზუსტი სამუშაოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე გვაქვს ისტორიული ხასიათის ფილმთან. ძველი ყოფის შესაფერისმა საგნებმა ჩვენს დრომდე ველარ მოაღწია, ამიტომ საჭიროა მათი დამზადება ისე, რომ ზუსტად ჰგავდეს ნამდვილს. ომი დიდი ხანია დამთავრდა; ისეთ გერმანულ ტანკებს, რომლებიც იმ პერიოდს შეესატყვისებოდეს და, რაც მთავარია, მოძრაობდეს კიდეც, ველარსად ნახავთ. ასეთი პრობლემის წინაშე დავდექით „ჯარისკაცის მამის" გადაღების დროს. ჩვენ ასე მოვიქეცით: მხატვრებმა გერმანული ტანკის სურათის მიხედვით დაამზადეს ზუსტი ტექნიკური ნახაზი და დეტალები, შემდეგ კი, საბჭოთა ნამდვილ ტანკს უცვალეს სახე, შეუცვალეს კოშკურის ფორმა, სასროლი ლულის ბოლო, წინა ჯავშანი, მუხლუხების ფარები და ფერი... ასეთი წესით სახეშეცვლილი საბჭოთა ტანკი ძალიან ჰგავდა გერმანულ ტანკს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ხშირად უკითხავთ ჩემთვის: „გერმანული ტანკები სადღა იშოვეთო". შეიძლება ასეთი რამ კომბინირებული წესითაც, ე. ი. პატარა, მოძრავი მაკეტების საშუალებით გადაიღო (ამისათვის კინოსტუდიაში არსებობს სპეციალური საამქრო). ამ შემთხვევაში შეიძლებოდა დაემზადებინათ პატარა, სათამაშო ტანკები და ემართათ ისინი სპეციალური მოტორებით. კინოგადაღების ასეთი მეთოდიც გამართლებულია. მაგრამ ჩემი აზრით, კომბინირებულ გადაღებას კაცმა მაშინ უნდა მიმართოს, როდესაც სხვა გამოსავალი არ არის, როდესაც ერთადერთი გზა მხოლოდ კომბინირებული გადაღებაა.

ასე დამაბული, მრავალმხრივ საინტერესოა ფილმის გადაღების მოსამზადებელი პერიოდი. შეიძლება ითქვას, რომ კარგად და ნაყოფიერად ჩატარებული მოსამზადებელი პერიოდი ძირითადად განსაზღვრავს ფილმის გადაღების წარმატებით მსვლელობას. თუ მომზადების

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 2, 3.



კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა"

პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, შემდეგ ნაკლებია მოულოდნელობანი, რომლითაც სავსეა გადაღების ყოველი დღე.

## გადამღები აპარატი მუშაობს

და აი, დგება საზეიმო დღე გადამღები ჯგუფის მუშაობაში.

იწყება ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ეტაპი ფილმის შექმნის ბიოგრაფიაში. თუ გავიზიარებთ ერთ-ერთი ცნობილი კინორეჟისორის ნათქვამს: ფილმის გადაღება ომის მოგებას ნიშნავსო, — მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გადაღების დაწყებით იწყება გენერალური შტურმი.

შეიძლება თქვენ შეუფერებელიც კი მოგეჩვენოთ ფილმის გადაღების მიმართ ისეთი სიტყვების ხმარება, როგორიცაა „შტურმი", „ომი" და სხვ. როდესაც მაყურებელთა დარბაზში ზიხართ და კინოსურათს უყურებთ ან სახლში ტელეეკრანს შესცქერით, კადრები ისე კრთიან, რომ მისი გადაღების სირთულეზე წარმოდგენა, რა თქმა უნდა, ძნელია. მაყურებელი დარწმუნებულია, რომ ყველა ის სირთულე, რასაც ეკრანზე ხედავს (სიცივე, ქარი, წვიმა, ცხენების ჭენება. ტალახი, ყინვა და სხვ.), მხოლოდ ხელოვნურად არის შექმნილი, რომ სინამდვილეში, გადაღების დროს ყველაფერი არის თბილად, მშვიდად, ოფლისა და დაძაბვის გარეშე. ჟურნალ „საბჭოთა ეკრანში" (1964 წ. № 16) მოყვანილია საუბარი ორ მაყურებელს შორის. ეს საუბარი კინომსახიობის მუშაობას ეხება:

„— ამასაც სამუშაო ჰქვია... როდესაც მოისურვა — მოვიდა, მოისურვა — წავიდა.

— მაგრამ, თუ კი ზამთარში წყალში ჩადის? თუ კი მატარებლიდან ხტება?

— მატარებლიდან რომ ხტებოდნენ, ასეთი სულელები არ არიან. იმათ აქვთ აუზები თბილი წყლით, ოთახის ტემპერატურით. მატარებლიდან კი თოჯინებს ისვრიან, ეს ცნობილია..."

ვშიშობ, ბევრს სწორედ ასე აქვს წარმოდგენილი გადაღება, როგორც ამ ორ „ყოვლისმცოდნეს". რა თქმა უნდა, ეს ძლიერ შორსა დგას სინამდვილისაგან. გადაღება პავილიონში (ე. ი. სტუდიაში, დეკორაციით) ტარდება გრაფიკის ზუსტი დაცვით და მისი ხანგრძლივობა შემოქმედებითი მუშაკებისათვის ბევრად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სამუშაო დღე წარმოება-დაწესებულებებში. გადაღება გრძელდება 8 საათს, ხოლო მსახიობი, რომელმაც უნდა ჩაიცვას მოქმედი გმირის კოსტუმი, გაიკეთოს გრიმი და სხვ. ყოველივე ამისათვის უნდა მოვიდეს სტუდიაში ორი საათით ადრე. ახლა გრიმიორი, რომელიც გრიმს უკეთებს მსახიობს? და მას ხომ მარტო ერთი მსახიობი არა ჰყავს გასაგრიმი? კოსტუმების ჩამცმელი? რეჟისორის ასისტენტი, რომელიც ყოველივე ამას ხელმძღვანელობს? დამდგმელი რეჟისორი, რომელმაც უყურა წინა დღეს გადაღებულ მასალას, გასცა მთელი რიგი განკარგულებები ხვალინდელი გადაღების შესახებ და მთელი თავისი გრძნობით, ფიქრით ცდილობს შევიდეს ყოველი მოქმედი გმირის შინაგან სამყაროში?

წარმოიდგინეთ, რომ სტუდიაში გადაღება იწყება 9 საათზე. როდის უნდა მოვიდეს მსახიობი, გრიმიორი, რეჟისორის ასისტენტი და რეჟისორი? დილის 7 საათზე! ახლა ამას ისიც დავუმატოთ, რომ ჩვენს ფილმებში მონაწილე მსახიობები თეატრებშიც მუშაობენ, ე. ი. მათ საღამოს, როგორც წესი, აქვთ სპექტაკლი და სტუდიაში გადაღებაზე გატარებული 10-11 საათის შემდეგ მიეშურებიან თეატრში, რომ იქ საღამოს რვის ნახევარზე დადგნენ სცენაზე და სულ სხვა გმირი განასახიერონ. რამდენჯერ სერგო ზაქარიაძე, დაამთავრებდა რა გადაღებას, მოიშორებდა გრიმს, მოიძრობდა ჯარისკაცის ლაბადას, გაიხდიდა საფრონტო მტვრითა და ტალახით დასვრილ ტანსაცმელს და შვილის დაღუპვით აღგზნებული მახარაშვილის გული ჯერ კიდევ ვერ დაემშვიდებინა. რომ რუსთაველის თეატრისაკენ უნდა გაეწია. რათა იქ ახლა ნიკო ფიროსმანაშვილის შელანძღული სერთუკი მოერგო, თავზე მისი შლიაპა დაეხურა, ან ოიდიპოს მეფის მოსასხამი მოესხა და მისდამი ბედისწერის სასტიკი დაცინვა თვალების დათხრით დაემთავრებინა...

ასეა მაშინ, თუ გადაღებაა სტუდიაში—პავილიონში... მაგრამ წარმოვიდგინოთ. რომ გადაღება მიმდინარეობს ბუნებაში, ე. ი. ნატურაზე, როგორც ამას ჩვენთან, კინომუშაკთა წრეში, ამბობენ. გადაღებისათვის უმთავრესად საჭიროა მზე. მზე ზაფხულში ამოდის 5-დან 6 საათამდე. ამ დროისათვის უკვე ყველაფერი მზად უნდა იყოს გადაღებისათვის, რადგანაც დილის მზე მეტად სასიამოვნო განათებას ჰქმნის და ამას არც ერთი ოპერატორი ხელიდან არ გაუშვებს. გადაღება რომ დაიწყოს, ამისათვის მსახიობმა უნდა ჩაიცვას, გაიკეთოს გრიმი და სხვ. ამას კი ჭირდება არანაკლებ ორი საათისა. ე. ი. გამოდის, რომ ნატურაზე გადაღების დროს მსახიობი (და, მასთან ერთად, მთელი გადამღები ჯგუფი) უნდა ადგეს ღამის 4 საათზე, დიახ, ღამის 4 საათზე! ეს ასე ხდება თითქმის ყოველდღიურად. ეს საკმაოდ მომქანცველი შრომაა და სრულებით არ ჰგავს იმ ორი მაყურებლის დიალოგს, რომლის შესახებაც „საბჭოთა ეკრანი" წერდა: — „როდესაც მოისურვა — მოვიდა, მოისურვა — წავიდა".

ამავე დიალოგში ერთ-ერთი მაყურებელი ამბობს: „მათ აქვთ აუზები თბილი წყლით, ოთახის ტემპერატურით..."

ამაზე საპასუხოდ სიტყვა მივცეთ მსახიობსა და რეჟისორს — ალექსი ბატალოვს, რომელიც აღწერს ზამთარში, ლენინგრადის ქუჩებში გადაღებას ფილმისა „შინელი". „შემდეგი დღე იყო კიდევ უფრო ძნელი. ამინდი გაუარესდა. ქუჩაში ხუთ წუთს ყოფნა საკმარისი იყო, რომ ტანსაცმელი სველ ჩვრად ექცია. რ. ბიკოვი (აკაკი ბაშმაჩკინის როლის შემსრულებელი) გაცივდა ჯერ კიდევ გუშინ. მას სიცხემ აუწია. მე ვერ წარმომედგინა, როგორ შევძლებდი მეთხოვა მისთვის გაეძრო ქურქი და მოეხადა ქუდი გადაღების წინ. მას ხომ მთელი სცენა უნდა ეთამაშნა და ერბინა აკაკი აკაკიევიჩის საცოდავ ვიცმუნდირში... მხოლოდ საქმისადმი ფანტასტიურმა სიყვარულმა და დიდმა აქტიორულმა კეთილსინდისიერებამ აიძულა ავადმყოფი რ. ბიკოვი გაეკეთებინა ის, რაც მან გააკეთა..."

გემახსოვრებათ ეპიზოდი საახალწლო ღამისა კინოსურათ „ჯარისკაცის მამაში", როდესაც მძინარე ჯარისკაცები, და მათ შორის გიორგი მახარაშვილი, სანგრებში წვანან გათოშილები და იქ კონცერტის გასამართავად მოდიან მუსიკოსები... იქნებ იფიქროთ: ეს თბილ ადგილზეა

გადაღებული და ოთახის ტემპერატურაში გალუღუნებულებს სძინავთ მსახიობებსო! ეს კადრი გადაღებულია მოსკოვთან ახლოს, სოფელ გლუხოვოში, იანვარსა და თებერვალში, ღამით, 30—35° ყინვაში. ამ დროს იყინებოდა გადამღები აპარატი — მოტორს ყოველ ერთ საათში ათბობდნენ სპირტქურაზე, რომ არ გაჩერებულიყო, მსახიობები კი საათობით გაუნძრევლად იწვნენ ისეთ ცივ მიწაზე. რომლის ამოთხრა სანგრის გასაკეთებლად ექსკავატორმა ვერ შეძლო (იმდენად იყო მიწა დამზრალი) და დასახმარებლად მივმართეთ მესანგრეებს, რომლებმაც აფეთქების საშუალებით მოახერხეს საჭირო სამუშაოების შესრულება.

როგორც ხედავთ, ლაპარაკი გადაღებათა „კომფორტზე" ზედმეტია და სინამდვილეს არ ჰგავს.



გოჩა აბაშიძე. „ჩვენი ეზო"

გადაღების საქმეს განსაკუთრებით ის ართულებს, რომ ყოველი ეპიზოდის, ყოველი მოქმედების გადაღება ხდება რამდენჯერმე (მერე იქიდან ირჩევა საუკეთესო). მერედა, რამდენჯერ უნდა გამეორდეს ერთი და იგივე მოქმედება — ერთხელ? ორჯერ? იმდენჯერ, ვიდრე არ იტყვიან: კარგია, კმარაო!

სარეჟისორო სცენარი, რომლის მიხედვითაც იღებენ ფილმს, შედგება ეპიზოდებისაგან, რომლის ერთმანეთთან კავშირი ჰქმნის დასაწყისს, განვითარებას და დასასრულს. ფილმის გადაღება კი არ ხდება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც სცენარია დაწერილი. შეიძლება მოხდეს ისე, რომ „ოთარაანთ ქვრივის" გადაღების დაწყება მოგვიხდეს სწორედ იმ სცენიდან, როდესაც მომაკვდავი გიორგი არჩილის ოთახში ასვენია და მკერდზე ქესოს ცრემლები დასდის... რატომაო, იკითხავთ თქვენ, რატომ უნდა მოხდეს ასე უცნაურადო. იმიტომ რომ, თუ ფილმის მოსამზადებელი პერიოდი დავამთავრეთ უკვე გვიან შემოდგომაზე ან კიდევ ზამთრის პირს, ჩვენ ვერ გადავიღებთ ვერც ოთარაანთ ქვრივის ეზოს, ვერც არჩილის კარმიდამოს, ვერც გიორგის მუშაობას ვენახსა და ბაღში, რადგანაც ამისათვის საჭირო იქნება მწვანე მინდორი და აყვავებული ბაღ-ვენახი. ჩვენ ისევ უნდა მივმართოთ ისეთი ეპიზოდების გადაღებას, რომლებიც ხდება ინტერიერებში, ე. ი. ოთახებსა და დარბაზებში. როდესაც აშენდება ერთი დეკორაცია, მაგალითად, არჩილის სახლი, უნდა გადავიღოთ ყველაფერი, რაც ამ სახლში ხდება, თუნდაც მოქმედება სცენარის მიხედვით მიმდინარეობდეს სხვადასხვა დროს და ფილმში იგი სხვადასხვა ადგილას იყოს გასანაწილებელი: ერთი — თავში, მეორე — შუაში და მესამე — ბოლოში. რეჟისორმა და მსახიობმა ზუსტად უნდა გაითვალისწინონ მოქმედების რიტმი, დაძაბულობა, მღელვარების და განწყობილების ფორმა, რომ შეძლონ ერთი კადრის გადაღების შეწყვეტის შემდეგ მეორე კადრის გადაღება, რომელიც პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. თუმცა ამ ორი კადრის გადაღებათა შორის (რომლებიც, როგორც ვთქვით. ერთი უშუალო გაგრძელებაა მეორისა) შესვენება შეიძლება რამდენიმე თვის ხანგრძლიობისაც კი იყოს. რადგანაც მაგალითისათვის ილიას „ოთარაანთ ქვრივი" ავირჩიეთ, ისევ ამ მოთხრობას მივმართოთ: მწერალი, აგვიწერს რა ამბავს არჩილის კარმიდამოში (თავი 14), ამბობს: „მეორე დღეს არჩილი დილა-ადრიანად თავის ახალშენს ვენახში წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირუკულმა მოსძახა გიორგის:

— სამუშაოზედ არსად წახვიდე, ქესოს შენთან საქმე აქვს.

„ქესოს?!"

გიორგის გული გადაუტრიალდა".

ვთქვათ, ვიღებთ ამ ეპიზოდს. იგი, რა თქმა უნდა, გადაღებული უნდა იქნეს ნატურაზე, ე. ი. ნამდვილ კარმიდამოში, და უთუოდ, ამის გადასაღებად, გადამღები ჯგუფი მთელი შემადგენლობით გაემგზავრება კახეთში, რათა რაც შეიძლება ზუსტად აღადგინოს ილიას მიერ დახატული გარემო. მსახიობმა, რომელიც თამაშობს გიორგის როლს, უნდა გადმოსცეს ილიას მიერ აღწერილი გიორგის შინაგანი სულიერი მდგომარეობა. როდესაც მან ქესოს სახელი გაიგონა „გიორგის გული გადაუტრიალდაო". — წერს ავტორი. რამდენიმე წუთის შემდეგ ილიას გიორგი ქესოს ოთახში შეჰყავს.

„გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი ქესოსთან, თითქო შიშმა აიტანა. ალბათ იმორცხვა. თავის დღეში უცხო ქალთან მარტო არ ყოფილა. ქესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვადასხვაფერად აჭრელებული"...

ჩვენ აქ გიორგის ვხედავთ ქესოს ოთახში. კინოს ენაზე რომ ვთქვათ, თუ კი ჩვენ ამ ეპიზოდს ავიღებთ, უნდა მივმართოთ დეკორაციას და სტუდიის პავილიონში ავაშენოთ ქესოს ოთახი, ე. ი. რამდენიმე თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც ეზოში გადავიღებთ, თუ როგორ გადაუტრიალდება გული გიორგის ქესოს მოხმობაზე, გიორგის როლის შემსრულებელი მსახიობი უნდა შემოვიყვანოთ ქესოს ოთახში (ე. ი. დეკორაციაში) იმ განწყობილების ზუსტი გაგრძელებით, როგორითაც იგი დავტოვეთ ეზოში. თუ კი მოთხრობაში ეს ერთი-მეორის მიყოლებით ხდება და ერთი ფსიქოლოგიური შინაგანი სურათის აღწერილობა და განვითარებაა, კინოში გადაღებისას გვიხდება მისი დანაწევრება (ტექნიკური და საწარმოო მიზეზების გამო), რომ შემდეგ ეს ნაწყვეტები შევაერთოთ და ილიასებური წყობა აღვადგინოთ. ეს მოითხოვს რეჟისორისა და მსახიობის შეთანხმებულ მუშაობას და, რა თქმა უნდა, დიდ სირთულესთან, მძიმე შრომასთან არის დაკავშირებული.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ გადარჩა ჭიანჭველების ქვეყანა

**ნიკოლაი კინჩევი**

1

იყო და მშვიდად ცხოვრობდა
ჭიანჭველების ქვეყანა...
იმდენი ჰქონდათ საჭმელი—
გზებზეც კი ბლომად ეყარა,
ერთი მათგანიც არ იყო
მეტიჩარა და მკვეხარა,
არც ვინმეს რამეს ართმევდნენ,
არც სხვას უხდიდნენ ბეგარას.

უეცრად მესაზღვრეებმა
ასტეხეს ერთი განგაში:
— ჰარიქა, მტერი მოდისო,
ხმალი ვაშიშვლოთ ქარქაშით,
არ ეღირსოსო მუხანათს
ჩვენს მიწა-წყალზე პარპაში,
ვინმე მხდალი და ძაბუნი
არ გვერიოსო ლაშქარში!

საზღვარს მოადგა ტანკი,
ბრგე და კუპრივით შავი,
ბალახებიდან ყინჩად
ამოუყვია თავი,
შავად უბრწყინავს ზურგი,
მომასწავებლად ავის,
უხმოდ მობობღავს ხნულში,
თითქოს მოცურავს ნავი.

უცებ სიჩქარეს უმატა,
ბუდი ავარდა ცაში,
სამშობლო განსაცდელშია,
ისმის საბრძოლო მარში:
— ჭიანჭველებო, არ შედრკეთ,
ერთმანეთს ვედგეთ მხარში,
ვიდრე ძალა გვაქვს მუხლში,
ვიდრე ღონე გვაქვს მკლავში!

მოზიდეს დიდი ტომრები,
სავსე სილით და ნაცარით,
ბარიკადებიც მზად არი,
თოფ-იარაღიც მზად არი,
ზეცას გაუდის გრიალი,
მიწას გაუდის ზანზარი,
საცაა—სროლა ატყდება,
ტანკს შეენთება ხანძარი.

სარდალი შედგა ბექობზე,
სივრცეს დურბინდით გახედა;
— ტანკი ჯერ კიდევ შორსაა,
ბარე სამ მეტრზე აქედან.—
ახლოვდებოდა ურჩხული,
მაღალ ბალახებს არხევდა,
ბიჭოს! რა მოხდა—უეცრად
ტანკი ადგილზე გახევდა.





ჭიანჭველები ტანკის წინ
ხედავენ ვიღაც გოლიათს;
ტანკზე ათასჯერ მაღალი —
იგი ბერმუხის ტოლია,
მან შეაჩერა ურჩხული,
ნებაზე დაიყოლია;
ჭიანჭველები ფიქრობენ:
— ეს რა მფარველი გვყოლია!

მტრის ტანკმა ვეღარ გაბედა
უცხო მხარეში თარეში,
გულოვან ლაშქარს სიკვდილმა
ვეღარ ჩახედა თვალებში,
ისევ მშვიდობა გამეფდა
ჭიანჭველების მხარეში,
ყანებში ხმები გაისმის
დივლი-დალალე-ლალესი.

2

ტანკი? რა ტანკი, რის ტანკი,
ხოჭო ვინა თქვა ტანკად!
სულელმა ჭიანჭველებმა
ტანკად ჩათვალეს ხოჭო...
არც გოლიათი ყოფილა
და არც ბერმუხას ჰგავდა, —
ერთ ფეხშიშველა ბიჭუნას
ქარი უწეწდა ქოჩორს.
ბიჭუნამ თითით დატუქსა
ხოჭო — კუპრივით შავი,
ეშმაკმა ხოჭომ მაშინვე
მოიმკვდარუნა თავი...
ასე შეჩერდა ურჩხული
და ჩამოვარდა ზავი, —
აღარ იძვროდა „მტრის ტანკი“
მომასწავებლად ავის...

3

ასე გადარჩა გაჟლეტას
ჭიანჭველების ლაშქარი...
ეს რა სამადლო საქმე ჰქნა —
არც უფიქრია ბიჭს!..
ჭიანჭველები დღესაც კი
ადიდებენ და აქებენ
იმ „გოლიათის“ გმირობას,
მოხერხებას და ნიჭს...

არის და ახლაც დღეგრძელობს
ჭიანჭველების ქვეყანა...
სიამტკბილობით ცხოვრობენ,
ყველა ერთმანეთს შეჰხარის,
ერთი მათგანიც არ არის
მეტიჩარა და მკვეხარა,
არც ვინმეს რამეს ართმევენ,
არც სხვას უხდიან ბეგარას!

ბულგარულიდან თარგმნა
**გივი ქნელაძემ.**

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.



# დავით კაკაბაძე



ავტოპორტრეტი

ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს დავით ნესტორის ძე კაკაბაძე. ეს შესანიშნავი მხატვარი მით უფრო საინტერესოა, რომ იგი იყო მრავალმხრივი შემოქმედი: მუშაობდა ფერწერაში, გრაფიკაში, აფორმებდა თეატრალურ დადგმებსა და კინოფილმებს.

ძალზე თავისებურია დ. კაკაბაძის მიერ გავლილი შემოქმედებითი გზა —აღსავსე დაძაბული და დაუცხრომელი ძიებებით. ფართო დიაპაზონის, ნატიფი გემოვნების ხელოვანი გამუდმებით მიისწრაფვოდა იქითკენ, რომ რაც შეიძლება ღრმად აღექვა ცხოვრების მრავალფეროვნება, გამოემუშავებინა მისი გამოსახვის საკუთარი მეთოდი, საკუთარი მანერა. ამავე დროს, იგი მარტო შემოქმედებითი პროცესით როდი იზღუდებოდა, ცდილობდა თეორიულადაც დაესაბუთებინა თავისი ძიებანი.

დავით კაკაბაძე დაიბადა 1889 წელს სოფ. კუხში (ქუთაისის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. 1891 წელს დავითის მამამ ქუთაისში დაიწყო მუშაობა და ცოლ-შვილიც აქ გადმოიყვანა საცხოვრებლად. დავითმა მოსამზადებელი სკოლა დაამთავრა და შემდეგ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. მომავალი მხატვარი მუყაითად სწავლობდა, მაგრამ ყველაზე მეტად მას თიხა და ხე იზიდავდა, რომლებისგანაც სხვადასხვა ფიგურებს ძერწავდა.

გიმნაზიაში სწავლის დროს დაიწყო დ. კაკაბაძემ ზეთის ფერებით ხატვა. პირველსავე ნახატებში იგრძნობოდა მათი ავტორის ბუნებრივი ნიჭი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფელ კუხის ხედები — კალმით შესრულებული. ეს ნახატები დავითმა ჟურნალ „საქართველოსათვის" გააკეთა და კიდეც გააგზავნა იქ. სულ მალე ჟურნალში ერთი-მეორის მიყოლებით გამოქვეყნდა დ. კაკაბაძის ნამუშევრები.

სწორედ ამ — 1908 წელს თვლიდა თვითონ მხატვარი სახვითი ხელოვნების ასპარეზზე თავისი გამოსვლის თარიღად.

გიმნაზიის დამთავრების მერე დ. კაკაბაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაზე შევიდა და, ამავე დროს, მხატვარ დმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოშიც მოეწყო, სადაც ხუთი წელი მუშაობდა.

დმიტრიევ-კავკაზსკისთან სწავლის პერიოდს ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვრის მიერ ზეთის ფერებით შესრულებული ნამუშევრები: ფინეთის ხედები, იმერეთის პეიზაჟის ეტიუდები, ორი ავტოპორტრეტი, მეგობრის პორტრეტი, დედისა და ძმის პორტრეტები. თითოეულ მათგანში ოსტატის ხელი და მახვილი თვალი იგრძნობოდა.

დ. კაკაბაძის ადრეული პერიოდის ნამუშევარია „ავტოპორტრეტი ბროწეულებით" (1913 წ.). ეს პორტრეტი, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა თავისი შთამბეჭდავი გამომეტყველებით. მაგრამ ამასთან შეიმჩნევა განსაზღვრული პირობითობა და საერთო დეკორატიული გადაწყვეტა, რომლითაც იყო გატაცებული მხატვარი იმხანად. ამ ავტოპორტრეტის პარალელურად შექმნა დ. კაკაბაძემ მეორე ავტოპორტრეტი, სარკეში გამოსახულების მიხედვით. იგი პირველისაგან განსხვავებული მანერით იყო შესრულებული.

უნივერსიტეტის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ (1918 წ.) დ. კაკაბაძე საქართველოში ბრუნდება. აქ იგი გიმნაზიებში ასწავლის ბუნებისმეტყველებას და ხატვას. თან ფანქრით ჩანახატების მთელ სერიას ჰქმნის ძველი თბილისის თემაზე.

ამ ჩანახატებში მხატვარს მუყაოზე გადააქვს ძველი ქალაქის დამახასიათებელი ადგილები, წარსულის ძეგლები, რომლებიც შეიძლება დანგრევაში მოყოლილიყო. სწორედ ამიტომ, ყოველ ჩანახატში დოკუმენტური სიზუსტეა დაცული.

1918 წელს დ. კაკაბაძემ შექმნა „იმერული ნატურმორტი" (ზეთი), სადაც მთელი აქცენტი გარეგნულ, დეკორატიულ მომენტზეა გადატანილი.

1918 წელსვე დაიბადა ერთ-ერთი შედევრი — დედის პორტრეტი, ანუ, უფრო სწორად, კომპოზიცია „იმერეთი — დედაჩემი". როგორც სახელწოდება გვეუბნება, ეს კომპოზიცია სიმბოლური ხასიათისაა, აქ ერთმანეთს არის შერწყმული ორი სახე — სახე დედისა და სახე სამშობლოსი.

აღსანიშნავია ნახატების სერია „წაღვერი" (1919 წ.), რომელიც შესრულების მანერითა და კომპოზიციის ხასიათით 1910-1915 წლებში შექმნილი ნამუშევრების გაგრძელებას წარმოადგენს.

1919-27 წლებში დ. კაკაბაძე პარიზშია. აქ იგი ეცნობა ფორმალისტურ მიმდინარეობებს: კუბიზმს, იმპრესიონიზმს და სხვ., რომლებმაც საკმაო გავლენა მოახდინეს მხატვრის შემოქმედებაზე. დ. კაკაბაძემ თავის ნაწარმოებებიდან განდევნა რეალური სამყარო, ხელი აიღო კონკრეტულ გამოსახვაზე და შექმნა დეკორატიულ-აბსტრაქტული ნახატების ციკლი. მაგრამ ამავე დროსვე შექმნა ჭეშმარიტად ეროვნული სურათიც — „წურბლების გამყიდველი".

საბჭოთა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მხატვრის შემოქმედება თანდათანობით კვლავ რეალისტური მიმართულებით ვითარდება. 1927 წელს დაიწერა საინტერესო ტილო „ინდუსტრია“ (აკვარელი). საერთოდ, ინდუსტრიის თემა კარგა ხანს კვებავდა მხატვრის შემოქმედებით ფანტაზიას. ამის მაგალითია „რიონჰესი“ (აკვარელი, 1933 წ.) და სხვ.

ფერწერის პარალელურად, დ. კაკაბაძე თეატრალური დადგმებისა და კინოფილმების დარგშიც იწყებს მუშაობას. მან გააფორმა სპექტაკლები „ჰოპ-ლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (1928), „ბაილ“, „ყვარყვარე თუთაბერი“ (1929), „ნინოშვილის გურია“ (1938), „სადგურის უფროსი“ (1947).

დ. კაკაბაძე სამჯერ ეწვია სვანეთს. ამ მოგზაურობის შედეგია ფანქრითა და აკვარელით შესრულებული ნახატების სერია „სვანეთი“ (1939 წ.).

რა თემაზეც არ უნდა ემუშავნა მხატვარს, მისი უსაყვარლესი ჟანრი მაინც პეიზაჟი იყო. თვით ისეთ სურათშიც, როგორიცაა „მიტინგი იმერეთში“, დ. კაკაბაძე პირველ რიგში პეიზაჟისტად რჩება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტილო „ქართული პეიზაჟი — 1942 წელი“.

დ. კაკაბაძემ ძალზე ორიგინალურად გამოსახა იმერეთის პეიზაჟი. ზვიადი ციხე-სიმაგრეებით დაგვირგვინებული კლდოვანი გორები, ვენახები და სიმინდის ყანები თავიანთი ფერადოვნებით და სილამაზით აღმოსავლური ხალიჩის მოტივებს მოგვაგონებენ. ამ სურათებში ცა ან სულ არა ჩანს, ან — მისთვის მხოლოდ ვიწრო ზოლია დათმობილი. მხატვარს სურდა, რაც შეიძლება მეტი სივრცის შთაბეჭდილება გადმოეცა. პეიზაჟის ასეთნაირად გამოხატვა სრულიად ახალი იყო ქართული პეიზაჟური ფერწერის ისტორიაში. საქართველოს ბუნების რომანტიული სილამაზე მხატვარს ინტიმური სითბოთი, ნამდვილი პოეტური შთაგონებით აქვს ამეტყველებული.

1949 წელს დ. კაკაბაძემ წარმოადგინა სამი დიდი ტილო — „სვანეთი. მადნის დამუშავება“, „ფოთი, ელევატორი“ და „ყაზბეგი“, ხოლო 1951 წელს — „რუსთავი. თუჯის პირველი გამოდნობა“. ამ ოთხივე ნაწარმოებით სრულიად ახალი პერიოდი დაიწყო დ. კაკაბაძის შემოქმედებაში. ჩანდა, რომ შრომის თემამ ღრმად დააინტერესა მხატვარი.

ოთხ ათეულ წელზე მეტი შესწირა დ. კაკაბაძემ ხელოვნების საქმეს. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი დაუღალავად სრულჰყოფდა ოსტატობას, დაუცხრომლად განაგრძობდა სახვით ხელოვნებაში ახალი ხერხებისა და საშუალებების ძიებას. სამწუხაროდ, მხატვრის სიცოცხლე შეწყდა იმ დროს (1952 წ.), როცა მისი ნიჭი მთელი თავისი ბრწყინვალებით უნდა გამოვლენილიყო.

დავით კაკაბაძის მრავალფეროვანი მემკვიდრეობა ქართული ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული.



კოჯორი

## ოქროს საწმისი

აპულეუსი: სირცხვილი და პატიოსნება ტანისამოსსა ჰგავს: რაც უფრო გაცვეთილია იგი, მით უფრო დაუდევრად ეპყრობი.

ბუხორიი: შენი ღირსება ყველგან დაიცავი, ადამიანო!

დემოკრიტე: კაცის პატიოსნება მარტო იმით როდი იცნობა, თუ რას აკეთებს იგი, არამედ იმითაც, თუ რა სურს მას.

ეპიქტეტი: ის კი არაა უბედურება, რომ კაცი მოკვდა, ან ქონება, სახლ-კარი, ფული დაკარგა... უბედურება ისაა, როცა კაცი კარგავს თავის ადამიანურ ღირსებას.

კვინტილიონი: სინდისი ათას მოწმეს უდრის.

ფ. ლაროშფუკო: როცა კაცი ჭეშმარიტად ღირსეულია, თვით მოშურნენიც კი იძულებულნი არიან — აქონ იგი.

ა. სმიტი: სინდისის ქენჯნა ყველაზე საშინელი განცდაა.

ლ. ტოლსტოი: სირცხვილი ხალხის წინაშე — კარგი გრძნობაა, მაგრამ ყველაზე კარგია — სირცხვილი საკუთარი თავის წინაშე.

... ერიდე ყოველივე იმას, რაც შენს სინდისს არ ეგუება.

ჩინური თქმა: ვინც სირცხვილი არ იცის, ის უკვე აღარაა ადამიანი.




## ზღვის მუსიკა

ზღვა სავსეა ხმებით. ზღვის სიღრმეებს არ შეიძლება ვუწოდოთ „მდუმარე სამყარო“. მართალია, ზღვის ხმებიდან მხოლოდ ზოგიერთი აწვდება ადამიანის სმენას, მაგრამ ბევრ მათგანს სპეციალური ხელსაწყოებით იჭერენ.

რამდენიმე წელი აწვალებდა მეცნიერებს ერთი გამოცანა: ხელსაწყოებმა ზღვის სიღრმეში აღმოაჩინეს ერთგვარი ხმა, რომელიც ხან ისმოდა, ხან არა, თანაც ადგილს იცვლიდა. რა უნდა ყოფილიყო?

ბოლოსდაბოლოს მოხერხდა საიდუმლოების გამოცნობა: ამ ხმას გამოსცემდა ვეშაპის გულისძგერა.

მოზრდილი ვეშაპის გული თითქმის ერთ ტონას იწონის. იგი 8 ტონა სისხლს გადაქაჩავს ხოლმე ერთი შეკუმშვისას და ამ დროს მას 10 ცხენის ძალა აქვს. რა გასაკვირია, ასეთი სიძლიერის გული მძლავრ ხმას გამოსცემდეს. ეს ხმა ისმის მაშინ, როცა ვეშაპი ხახას აღებს ზღვის წვრილწვრილი ორგანიზმების ჩასანთქმელად. როგორც კი პირს მოკუმავს, ხმა ისმობა.



## კიტრი — უშბარა

ყირიმში ხარობს „ცოფიანი კიტრი“. წვრილი, ხორკლიანი ნაყოფი წყნარად „წევს“ ხოლმე ფართო ფოთლებქვეშ. მაგრამ, როგორც კი მიეკარება რამე, იგი ტკაცანით სკდება და საფანტივით ისვრის თესლს. უნდა ნახოთ, რა თავქუდმოგლეჯილი გარბიან წვრილფეხა მღრღნელები, უცაბედად რომ ფეხს დაადგამენ ამ პაწაწინა „უშბარას“.



## სიჯიუტის ფასი

შვიდი წლის წინ ერთმა ავსტრიელმა გლეხმა მოსჭრა ფიჭვი, რომელიც მისსა და მეზობლის კარმიდამოთა მიჯნაზე იყო ამოსული. ამ ფიჭვს მეზობელიც თავის საკუთრებად თვლიდა და ამიტომ, ძალამდა თუ არა, მოიპარა იგი. დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც შვიდ წელს გაგრძელდა. საქმე უმაღლეს სასამართლომდე მივიდა. ამ უკანასკნელმა მოჭრილი ხე პირველ გლეხს მიაკუთვნა.

ფიჭვი თავდაპირველად თუ 450 შილინგი ღირდა, „შვიდწლიანი ომის“ შემდეგ, სასამართლო ხარჯების შედეგად, მისმა ღირებულებამ 180 ათას შილინგს გადაამეტა.

## საათს ისრები არა აქვს

შვეიცარიაში გამოჩნდა ელექტროსაათები, რომელთა ციფერბლატზე, ნაცვლად ისრებისა, 60 ვიწრო და 12 ფართო ზოლია. დროის სვლის შესაბამისად, ზოლები ითება და უჩვენებს საათსა და წუთს.

## სარჩევი


ა. გეწაძე — ლენინის დროშას ავიტანთ ცაში (ლექსი) . . გარეკ. . . . . . 2

ე. მარი — წლის უკანასკნელი დღე (მოთხრობა) . . . . . . 2

ლ. გვაზავა-სანაძე — მჯერა, რომ ასე იქნება (მოთხრობა) . . . . . . 4

პარიზის კომუნის დროშა . . . . . 10

ს. ცაიშვილი — „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი (წერილი) . . . . . 11

ე. სახვაძე — რაზმეულში მოვიდა მეთხუთმეტე რაზმი (ნარკვევი) . . . . . 15

ლ. გოთუა — ჩემი უსტარაული (მოთხრობა) . . . . 18

სახალისო ქიმია . 23

ახალი წიგნები . . 23

რ. ჩხეიძე — როგორ ვიღებთ კინოფილმს (წერილი. გაგრძელება) . . . . . . 24

ნ. კინჩევი — როგორ გადარჩა ჭიანჭველების ქვეყანა (პოემა. თარგმანი გ. ძნელაძისა) . . . . . . 28

დავით კაკაბაძე — (წერილი) . . . . . 30

ოქროს საწმისი . . 31

ჯადოსნური სარკე . 32

თავშესაქცევი . . . გარეკ. . 3

გამოცანები . . . . გარეკ. . 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — ზურაბ მეძმარიაშვილისა.

რედაქტორი გაგულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა ( პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის —5-07-43



„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91

გამომცემლობა „ნაკადული“. უე 02969 ტირ. 41.000. პირ. ფორ. ნაბეჭ. $4^{1}/_{2}$, ქაღ. ფორ. ნაბეჭ. 2.

ხელმოწერ. დასაბ. 19/III-66 წ. სტამბის შეკვ. 788. გამომც. შეკვ. 101. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

## ვარჯიში დაკვირვებაზე

დააკვირდით და გამოიცანით,—რომელ კლიტეს ერგება ეს გასაღები?





ამ ოთხი სურათიდან მხოლოდ ორია აბსოლუტურად ერთნაირი. დააკვირდით და იპოვეთ ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავსატეხი



სცადეთ, აქ მოცემული ფიგურა შემოხაზოთ ფანქრის ერთი მოსმით.



ნემსების მისამაგრებლად საკერავი მანქანის კორპუსს რაიმე რბილი ნაჭერი შემოახვიე და ნემსებიც მუდამ თვალწინ გექნება.



სკამი, მაგიდა, საწოლი, კარადა... გადაადგილების დროს, გარდა იმისა რომ ჭრიალებს და ხმაურობს, იატაკსაც ფხაჭნის და აზიანებს. გამოძებნე ფეტრის ძველი შლიაპა ან ნაბდის რაიმე ნაჭერი და ავეჯის ფეხის ზომაზე ცოტა მოზრდილ ნაჭრებად გამოჭერი. შეიძინე სადურგლო ან „ბფ" წებო. ავეჯის ფეხი წინდაწინ გადაფხიკე ქვიშასანით, გამოჭრილი ნაჭერი ფეხზე დააწებე და ავეჯი იატაკზე გაფენილ გაზეთზე დადგი, მხოლოდ ისე, რომ სიმძიმე ოთხივე ფეხზე თანაბრად განაწილდეს. ორი-სამი დღის შემდეგ დაწებებული ნაჭრები მჭრელი დანით შემოაკოხტავე. ავეჯი არც იხმაურებს და აღარც იატაკს დაფხაჭნის.





თუ გინდა, რომ ვედროს თავსახური არ გადაძვრეს და წყალი არ გადმოიღვაროს, სახელურზე რეზინის რგოლი გადაჭიმე.



საჭმელ ზეთს ერთი ცუდი თვისება აქვს: რაც არ უნდა ფრთხილად იხმარო, ბოთლის ტუჩს მაინც ჩამოეწვეთება, ხელსაც დაგისვრის და სადაც დადგამ, უეჭველად ფსკერის ანაბეჭდს დატოვებს. გამოჭერი ღრუბელიდან პატარა რგოლი, ბოთლს ყელზე ჩამოაცვი და არხეინად იყავი,—ზეთი აღარაფერს დასვრის.

ИНДЕКС 76157



იმერეთის პეიზაჟი



იმერული ნატურმორტი

# დავით კაკაბაძე

ჩვენი სალონი



რიონჰესი